საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | № 70 (349) | ოთხშაბათი, 29 აპრილი, 1992 წელი | ფასი 1 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

სამხედრო კომენდანტის ცნობა

აღდგომა ღამით კომენდანტის საათი გაუქმებული იყო. ღამემ მშვიდად ჩაიარა, მაგრამ კვირას კრიმინალმა ელემენტებმა კვლავ წამოყვეს თავი და მოხდა ექვსი დანაშაული — ბინის ქურდობა და ავტომანქანების გატაცება.

27 აპრილის 0 საათიდან კომენდანტის საათი კვლავ აღდგა.

ეროვნული ერთიანობის ნიშნით

სოხუმში გაიმართა სხვადასხვა პარტიათა და საზოგადოებათა წარმომადგენლების შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, მონარქისტულ-კონსერვატიული პარტიის, რუსთაველის საზოგადოების, ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის, საზოგადოება „ლემის", მწვანეთა მოძრაობა „საქმის", შემოქმედებითი ინტელიგენციის სადარბაზოს, შრომითი კოლექტივების საბჭოს, საზოგადოება „ქომაგის", ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის, საზოგადოება „სოხუმის", საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების, ქართველ მაშველთა კორპუსის, მერაბ კოსტავას საზოგადოების, დემოგრაფიული საზოგადოების, აფხაზეთის პროგრესულ-დემოკრატიული კავშირის წარმომადგენლები.

მხარეები შეთანხმდნენ განაგრძონ კონსულტაციები აფხაზეთში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად.

იოსებ გოგეჩია.

რუსთაველთა მისაბაძი მაგალითი

„საქართველოს რესპუბლიკის" 10 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ბატონ გურამ ფანჯიკიძის მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, ბანკების, ბირჟების, უწყებების, ორგანიზაციების, კონცერნების, ფირმების, დიდი საწარმოების, ქართული მწერლობის ყველა გულშემატკივრისადმი.

ვინაიდან წელს მთავრობას არ შეეძლო შენობის სახურავის გასამაგრებელი სამუშაოებისათვის თანხის გამოყოფა (დაახლოებით 7-8 მილიონი მანეთი, მთლიანად შენობის გამაგრება გაცილებით დიდ თანხას მოითხოვს), მწერალთა კავშირმა იმედი გამოთქვა, რომ სამინისტროები, მძლავრი ქარხნები და ორგანიზაციები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ წელს მწერალთა კავშირის შენობას სახურავი მაინც გაუმაგრონ.

მწერალთა კავშირის თხოვნას პირველ რიგში რუსთაველები გამოეხმაურნენ.

მეტალურგიულმა კომბინატმა (დირექტორი — გურამ ქაშაკაშვილი) ივალდებულა შენობის გამაგრებისათვის საჭირო რკინის კონსტრუქციებით უზრუნველყოფა. ცემენტის ქარხანა (დირექტორი — ჯუმბერ თათარიშვილი) ცემენტით მთლიანად მოამარაგებს მშენებლობას, ხოლო ქარხანა „აზოტი" (დირექტორი — ზურაბ კერვალიშვილი) მშენებლობის ანგარიშზე სოლიდურ თანხას გადმორიცხავს.

რუსთავის გამგეობის თავმჯდომარემ ბატონმა იოსებ არეშიძემ გვითხრა, რომ ქალაქი მზად არის შეფობა გაუწიოს საერთოდ მწერალთა კავშირს.

მადლობის მეტი რა ითქმის რუსთაველთა მისამართით, და თუ მათ მაგალითს სხვებიც მიბაძავენ, მაშინ შენობის მთლიან აღდგენას წინ ველარაფერი დაუდგება.

ზაალ ბოტკოველი.

კარგად გვესმის, რომ ამდენი უბედურების და საშინელ დანაშაულთა შემდეგ ძნელია ლაპარაკი უცბად ყველაფრის დავიწყებასა და შერიგებაზე, მაგრამ სისხლისღვრის და კაცისკვლის შეწყვეტა აუცილებელია, ბოლო უნდა მოეღოს შეიარაღებულ დაპირისპირებას!

მიმდინარე წლის 25 აპრილს, დილით, ცხინვალში დაბანაკებულმა რუსეთის შინაგანი ჯარების სპეციალურმა ქვეგანაყოფმა დატოვა დისლოკაციის ადგილი და სამშობლოსკენ აიღო გეზი

ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას!

1990 წლის დეკემბერში შექმნილი მდგომარეობის გამო ცხინვალში შემოღებული იქნა კომენდანტის საათი, რომლის განხორციელება ყოფილი ხელისუფლების გადაწყვეტილებით დაევალა სსრკ-ს შინაგან საქმეთა სპეციალურ ჯარებს.

ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო დაძაბა ისედაც უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის.

კონფლიქტის ზონაში უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მოქმედების დაკანონებამ საქართველოს მთავრობის უფლებების მკვეთრი შეზღუდვა და მისივე იურისდიქციის იგნორირება გამოიწვია. ყოველივე ზემოთქმულს ლოგიკურად მოჰყვა განუკითხაობა და ქაოსი.

რეგიონში სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის პარალიზების გამო კაცისკვლა, ადამიანთა სასტიკად წამების ფაქტები, ცხედრის შეურაცხყოფა ჩვეულებრივ ამბად იქცა. სადღეისოდ ორივე მხრიდან დაღუპულია 450-ზე მეტი, დაჭრილია ასობით, უგზო-უკვლოდ დაკარგულია რამდენიმე ათეული ადამიანი, დანგრეული და დამწვარია ხუთიათასამდე საცხოვრებელი სახლი, ამ მიწა-წყლის ათასობით მკვიდრი მოწყვეტილია მშობლიურ კერას და ლტოლვილია.

საქართველოს დროებითი მთავრობა ხელისუფლებაში მოსვლის პირველი დღიდანვე ეძიებს ცხინვალის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზებს, მან გააკეთა არაერთი ოფიციალური განცხადება, შექმნა სპეციალური კომისიები, რომელთა ძალისხმევა კარგად არის ცნობილი საზოგადოებისთვის...

სამწუხაროდ, ჩვენს სამშვიდობო ინიციატივას შედეგი არ მოჰყოლია. ამისი ერთი მიზეზთაგანი ცხინვალში უცხო სახელმწიფოს ჯარების მოქმედებაც იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ გასულ წელს უზენაესი საბჭოს დადგენილებით ამ ჯარების საქართველოში ყოფნას ყოველგვარი სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა, უცხო სახელმწიფოს ჯარების მოქმედება დღემდე გრძელდებოდა.

მიმდინარე წლის 25 აპრილს, დილით, ცხინვალში დაბანაკებულმა რუსეთის შინაგანი ჯარების სპეციალურმა ქვეგანაყოფმა დატოვა დისლოკაციის ადგილი და სამშობლოსკენ აიღო გეზი.

საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მკვიდრნი, ქართველებიც და ოსებიც, ენით გამოუთქმელ მწუხარებასთან და ტკივილთან ერთად, ერთმანეთის პირისპირ დარჩნენ!

კარგად გვესმის, რომ ამდენი უბედურების და საშინელ დანაშაულთა შემდეგ ძნელია ლაპარაკი უცბად ყველაფრის დავიწყებასა და შერიგებაზე, მაგრამ სისხლისღვრის და კაცისკვლის შეწყვეტა აუცილებელია, ბოლო უნდა მოეღოს შეიარაღებულ დაპირისპირებას!

შეგახსენებთ, რომ ისტორიას არ ახსოვს დაუმთავრებელი ომი. ყოველ ომს თავისი ლოგიკური დასასრული აქვს. ყველა ომის ფინალი მეომარ მხარეთა შორის მოლაპარაკებაა. რაც უფრო ადრე დაიწყება მოლაპარაკება, მით ნაკლები იქნება მსხვერპლი.

მოგიწოდებთ მშვიდობისკენ, იკმარეთ დაღვრილი სისხლი, შეწყვიტეთ ცეცხლი, აღადგინეთ მშვიდობიანი, მეზობლური ურთიერთობები სოფლებს შორის, შექმენით პირობები, რომ ლტოლვილები დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას.

საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ იგი პასუხისმგებელია ქვეყანაში მცხოვრები ყოველი ადამიანის ბედზე, განურჩევლად მისი ეროვნებისა და ყველაფერს იღონებს სამოქალაქო მშვიდობისა და თანხმობის მისაღწევად, არ დაუშვებს ადამიანთა უფლებების შელახვას.

დარწმუნებული იყავით, რომ ცხინვალის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება უპირველეს სახელმწიფოებრივ საქმედ მიგვაჩნია.

შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, ამ კომიტეტის თავმჯდომარეს, ამავე დროს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ეროვნებათაშორისი ურთიერთობების და ადამიანთა უფლებების დაცვის დარგში მიეცა საგანგებო დავალება და სპეციალური რწმუნებები ცხინვალის რეგიონში კანონიერების და სამოქალაქო მშვიდობის აღსადგენად.

სახელმწიფო საბჭო ახლად შექმნილი კომიტეტისგან მოითხოვს დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება დაპირისპირებულ მხარეთა შორის, მოუწოდებს მხარეებს აქტიურად ჩაებან კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საქმეში.

საქართველოს ყოველი მოქალაქე, მსოფლიო საზოგადოებრიობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საქართველოს ხელისუფლება მტკიცედ დაიცავს თანამედროვე საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ნორმებს, განსაკუთრებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტებით და სხვა ხელშეკრულებებით, აგრეთვე ჰელსინკის, ვენის, პარიზისა და მოსკოვის აქტების მოთხოვნებს.

საქართველოსთვის ამ უმძიმეს ჟამს მოგიწოდებთ ყველას იპოვოთ ძალა ურთიერთ შენდობისა და პატიებისთვის.

საქართველოს სახელმწიფო საბჭო.

ქართველ და ოს ხალხებს ჩვეული სიბრძნისა და გონიერების გამოჩენა მართებთ!

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და დროებითი მთავრობის რწმუნებით საჭიროდ ვთვლი განვაცხადო შემდეგი:

1992 წლის 25 აპრილს ცხინვალის რეგიონი დატოვა რუსეთის შინაგანი ჯარების სპეციალურმა შენაერთმა. ეს ფაქტი საქართველოს საზოგადოებრიობამ მიიღო როგორც სამოქალაქო მშვიდობისა და თანხმობისაკენ გადადგმული ნაბიჯი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ შეაფასა რა კონფლიქტის ზონაში შექმნილი მდგომარეობა, გააგრძელა სამშვიდობო ღონისძიებების განხორციელება. ხელისუფლების ეს პოზიცია დადებითად შეფასდა რესპუბლიკის მოსახლეობის მიერ, რომელმაც მთლიანად დაუჭირა მხარი სისხლისღვრის შეწყვეტას.

აღნიშნულის შესახებ ოფიციალური განცხადებები და მიმართვები გავრცელდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

ჩვენთვის გაუგებარია მოსკოვის ტელევიზიის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული ცნობები და კომენტარები იმის შესახებ, რომ თითქოს შეუძლებელია მოვლენების მშვიდობიანი განვითარება, რომ ცხინვალის გვარდიამ ფიცი დადო, რომ რეგიონში მცხოვრები ოსები მზად არიან ბრძოლისათვის, რომ კავკასიის ხალხთა კონფედერაცია საქართველოს ტერიტორიაზე შემოიყვანს შეიარაღებულ ძალებს, თუ საქართველო არ შეასრულებს მათ მიერ ნაკარნახევ პირობებს, რომ ვიღაცამ ვიღაცას მოსკოვის აგენტი უწოდა და ა. შ. და ა. შ.

საქართველოს სახელმწიფო საბჭო და დროებითი მთავრობა კვლავ მოუწოდებს ქართველ და ოს ხალხებს არ აჰყვნენ წამქეზებლებს, გამოიჩინონ ჩვეული სიბრძნე და გონიერება, გაითვალისწინონ, რომ ცივილიზებული ადამიანები და საზოგადოებები ურთიერთობებს არკვევენ მოლაპარაკების გზით.

ჩვენ მივმართავთ კავკასიელი ხალხების ე. წ. კონფედერაციის წარმომადგენლებს, რომ მათ მიერ გაკეთებული განცხადებები არავითარ შემთხვევაში არ უწყობენ ხელს რეგიონში მშვიდობის დამყარებას, ხოლო თუ მდგომარეობა გამწვავდა, მთელი ზნეობრივი პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებათ.

ჩვენ მივმართავთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, განსაკუთრებით მოსკოვის ტელევიზიას, ნუ დაუშვებენ იმას, რომ მათ მიერ გადაცემულმა ინფორმაციებმა და ტენდენციურმა კომენტარებმა გამოიწვიონ ახალი სისხლისღვრა.

ქართველი ხალხი, მისი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს პრობლემების მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისათვის.

საქართველო დარწმუნებულია, რომ როგორც ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსები, ისე მათი მხარდამჭერები გამოიჩენენ გამჭრიახობას, არ აჰყვებიან პროვოკაციებს, ჩვენთან ერთად მოძებნიან იმ შეხების წერტილებს, რომლებიც დაგვაახლოებს და თავიდან აგვაცილებს ახალ უბედურებას.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილე, ეროვნებათა შორის ურთიერთობების და ადამიანთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

სანდრო კავსაძე.
28. 04. 1992 წ.

ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა დიდი ბრიტანეთის ელჩს როდრიკ ბრეითვეითს



დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სერ როდრიკ ბრეითვეითმა რწმუნების სიგელები გადასცა საქართველოს რესპუბლიკის, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ე. შევარდნაძესა და რ. ბრეითვეითს შორის გაიმართა საუბარი.

ელჩმა ბატონ შევარდნაძეს გადასცა პრემიერ-მინისტრის ჯონ მეიჯორის წერილი, რომელშიც კერძოდ, ნათქვამია:

„განსაკუთრებით მახარებს შესაძლებლობა, რომ მომავალში შემიძლია განვაგრძო ერთობლივი მუშაობა და განვავითარო საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა". ე. შევარდნაძემ სთხოვა ელჩს მადლობა მოახსენოს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს და გამოთქვა იმედი, რომ ორ ქვეყანას შორის იქნება მჭიდრო ურთიერთობა.

— დღევანდელი აქტი მიგვაჩნია მრავლის აღმთქმელ დასაწყისად და ამავე დროს მისი უდიდებულესობის მთავრობის მიერ საქართველოს მხარდაჭერის ჟესტად, ხაზგასმით აღნიშნა ე. შევარდნაძემ.

ელჩის თხოვნით მან დაახასიათა საქართველოში შექმნილი ვითარება. საუბრის დროს, რომელიც სრული ნდობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, შეეხნენ საქართველოში, ამიერკავკასიასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

საუბარს ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი ვახტანგ გოგუაძე.

* * *

სურათზე: საუბრის დროს.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოში

მშვიდობისა და თანხმობის გზით

25 აპრილს, დილით, ცხინვალში მყოფმა რუსეთის შინაგანი ჯარების სპეციალურმა ქვეგანაყოფმა დატოვა თავისი დისლოკაციის ადგილი და კურსი აიღო ჩრდილოეთისაკენ საქართველოს ფარგლებს გარეთ. ეს იმავე დღეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მორიგი სხდომის გახსნისას განაცხადა მისმა თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ. გააკეთა რა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ეს სპეციალური ქვეგანაყოფი დილისათვის უკვე ყაზბეგში იყო და ამჟამად ტოვებს საქართველოს ტერიტორიას, მან სახელმწიფო საბჭოს მისცა წინადადება ამასთან დაკავშირებით მიიღოს მიმართვა ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისადმი.

წინადადება მოიწონეს. მიღებული მიმართვა მოუწოდებს ამ რეგიონის მოსახლეობას შეწყვიტონ შეიარაღებული დაპირისპირება, აღადგინონ ტრადიციული მშვიდობა და თანხმობა, შეიქმნას პირობები იმისათვის, რომ ლტოლვილები დაუბრუნდნენ თავიანთ კერებს. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება.

შემდეგ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა ინფორმაცია დასავლეთ საქართველოში თავისი ამ ცოტა ხნის წინანდელი მოგზაურობის შესახებ. მან დაწვრილებით ილაპარაკა იმ შეხვედრებსა და საუბრებზე, რომლებიც ჰქონდა აჭარის მოსახლეობასთან და ხელმძღვანელობასთან. ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება მთლიანად დაახასიათა როგორც სტაბილური, განსაკუთრებით შეეხო მისი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პრობლემებს. კერძოდ, აღინიშნა, რომ არასაკმარისად ორგანიზებულად მიმდინარეობს მუშაობა მთიან აჭარაში მომხდარ სტიქიურ უბედურებათა შედეგების სალიკვიდაციოდ. აღინიშნა, რომ სამწუხაროდ, სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლა ხშირად მიმდინარეობს სტიქიურად. სასწრაფოდ უნდა გამოიხიზნოს 100-120 ოჯახი ცხოვრებისათვის საშიში ზონიდან, რაც, ბუნებრივია, მთავრობისაგან მოითხოვს შესაბამისი ზომების მიღებას. საკმაო პრობლემები დგას ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშეც. მათ გადაჭრაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია და უნდა შეიტანოს კიდეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. შეეხო რა ქალაქ ბათუმის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ თქვა, რომ ახლანდელ პირობებში არის ყველა წინამძღვარი იმისა, რომ იგი გახდეს საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთი ცენტრი. რაც შეეხება აჭარაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, იქ, როგორც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრამ ცხადყო, ჯერ კიდევ საჭიროა დიდი და მუხლჩაუხრელი მუშაობა, რათა მოიხსნას დაპირისპირება, რომელიც არსებობს ოპოზიციურ პარტიებსა და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის.

რამდენადმე განსხვავებული სიტუაციაა ფოთში. იქ დაიღუპნენ ადამიანები და ამან, ბუნებრივია, მოახდინა გავლენა ფოთელების გუნება-განწყობილებაზე, ქალაქის იერ-სახეზეც კი. ყველამ, თქვა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ დავეხმაროთ ჩვენს თანამემამულეებს ამ მდგომარეობიდან გამოსვლაში. რა შეგვიძლია გავაკეთოთ დაღუპულთა ოჯახებისათვის იმის მიუხედავად, თუ ვის მხარეზე გამოდიოდნენ ისინი ამ ცოტა ხნის წინანდელი დაპირისპირების დროს. შეეხო რა ამ სანავსადგურო ქალაქის დიდ შესაძლებლობებს, მის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდგომარეობას, მან ამავე დროს აღნიშნა, რომ ფოთის მოსახლეობა ამჟამად პრაქტიკულად გაჭირვებულია, ისე, როგორც, ოზურგეთისა და წყალტუბოს მოსახლეობა. აი, უკვე რამდენიმე თვეა წყალტუბოს კურორტი უმოქმედოდაა, რის გამოც მისი 7 ათასზე მეტი მუშაკი ფაქტობრივად უსაქმოდაა.

დიდ ყურადღებას ითხოვენ იმერეთის რაიონები, კერძოდ, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი. ახლა ამ ზონაში იმყოფება რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, რომელიც სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად ადგილზე სწავლობს საქმის ვითარებას, რათა დასახოს კრიზისიდან თავის დაღწევის გზები.

ამ ინფორმაციის გამო გაიმართა აზრთა გაზიარება.

სახელმწიფო საბჭოს კომისიათა ჩამოყალიბების და საქმიანობის შესახებ დამსწრეთ ესაუბრა მისი მდივანი ვახტანგ გოგუაძე. სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა იურიდიული კომისია, ეკონომიკურ და სოციალურ გარდაქმნათა კომისია, ეკოლოგიური კომისია.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხები.

ედუარდ ედიბერიძე,
თენგიზ ნიკოლაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში

ჩვენი გასაკეთებელი საქმე

25 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელები, დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გამგეობათა თავმჯდომარეები, ადგილობრივი მმართველობის, სამართალდამცავი ორგანოების და დიდი სამეურნეო ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები შეიკრიბნენ ქალაქ ქუთაისში, სადაც გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო გამსვლელი სხდომა. დღის წესრიგში იყო მხოლოდ ერთი, მაგრამ საგანგებო საკითხი: „მიმდინარე ეტაპზე რესპუბლიკის დასავლეთ რეგიონების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის, ადმინისტრაციული და სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანების შესახებ".

— **რესპუბლიკამ,** მისმა ხალხმა, ყველა ჩვენგანმა ამ ბოლო პერიოდში გადაიტანეს დიდი გასაჭირი და სიძნელეები, — ამ სიტყვებით გახსნა საგანგებო სხდომა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ. — შფოთიანობამ, ეკონომიკურმა კრიზისმა, უაღრესად გართულებულმა კრიმინოგენულმა ვითარებამ შეარყია ადამიანების ფსიქიკა, უდიდესი უარყოფითი გავლენა იქონია წარმოების დონეზე, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

დღეს საქართველოში მდგომარეობა ერთგვარად უმჯობესდება, სტაბილური ხდება პოლიტიკური სიტუაცია. ქართველი ხალხი მოიკრებს ძალას და, ეჭვი არ მეპარება, დავძლევთ ყველა სიძნელეს, ვიცხოვრებთ უკეთესად. მაგრამ კარგა ხნის მანძილზე გაგვყვება ის უდიდესი მწუხარება და დიდი ხნის განმავლობაში შეუხორცებელ ჭრილობად დაგვრჩება ის ტკივილი, ჩვენი ძმების, დების, მამებისა და შვილების დაღუპვამ რომ მოგვაყენა.

სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

პრობლემები

როგორც მოსალოდნელი იყო, უპირველეს პრობლემად საგანგებო სხდომამ მიიჩნია სრული სტაბილიზაცია სრულიად საქართველოში. ამ პრობლემაზე ლაპარაკობდა ყველა გამომსვლელი. ამ პრობლემას მიუძღვნეს მოხსენებები საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა რომან გვენცაძემ, აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გივი ლომინაძემ, ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა მერაბ რაფავამ და სხვებმა.

ყველამ უნდა შევითვისოთ, რომ მხოლოდ ერთიანობა გვიშველის, მხოლოდ სტაბილურობა დაგვაძლევინებს ეკონომიკის კრიზისს. ერთიანობისათვის უნდა ვიბრძოლოთ მთელი ძალისხმევით.

მეორე პრობლემაა ღრმა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა. რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია წარმოების ყველა დარგზე, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

— სახელმწიფო საბჭო, რესპუბლიკის მთავრობა, სამინისტროები, უწყებები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, შრომითი კოლექტივები ყოველ ღონეს ხმარობენ, — თქვა ბატონმა თენგიზ სიგუამ, — რათა გამოიყვანონ ჩვენი ეკონომიკა კრიზისული მდგომარეობიდან. წინამორბედი ხელისუფლების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის უგერგილო და უყაირათო მუშაობის შედეგების აღმოფხვრა სასწრაფოდ გახდა საჭირო. ძალზე მძიმე და ურთულეს ექსტრემალურ პირობებში მოქცეული დღეს რესპუბლიკის სამეურნეო კომპლექსი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკის 1127 სამრეწველო საწარმოდან 586-ს, ანუ ნახევარზე მეტს, საერთოდ არ უმუშავნია. ამ და სხვა მრავალი მიზეზით წარმოების მოცულობა გასული წლის შესადარის პერიოდთან ორჯერ და მეტად შემცირდა, მოიშალა პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებები, ერთი მესამედით დაეცა შრომის ნაყოფიერება.

სამრეწველო საწარმოთა თითქმის 52 პროცენტს, როგორც აღნიშნა თავის გამოსვლაში საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ვაჟა ჯინჯიხაძემ, საერთოდ არ უმუშავნია, მათ შორის ისეთ დიდ საწარმოებს, როგორებიცაა „საქნახშირი", „აფხაზეთთამბაქო", ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და სხვა. ჩვენ ჰიპერინფლაციის პრობლემის წინაშე ვდგავართ და ცხოვრების დონე დასაშვებზე დაბლა ეცემა. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში გრძელდება ფულის მიმოქცევის მდგომარეობის შემდგომი გაუარესება, მანეთის მყიდველობითი უნარიანობის დაცემა, მისი სიმტკიცის შერყევა და მოშლა. რესპუბლიკა იძულებულია ნაღდი ფულის დანაკლისი გადაფაროს ემისიის ხარჯზე. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ მიუღია ხელფასები, პენსიები ორი-სამი თვის განმავლობაში. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩამბარებელთა ანგარიშსწორებას, აქ მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალოა. ჯერ კიდევ გაუცემელია შარშან დამზადებული პროდუქციის ღირებულების დიდი ნაწილი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პრობლემა — ენერგორესურსების მწვავე დეფიციტი. საწარმოთა უმეტესობამ სამეურნეო წელი მეორე კვარტლიდან დაიწყო.

მწვავე პრობლემა დააყენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გურამ ვარშალომიძემ.

— აჭარა ყველაზე მჭიდროდ დასახლებული კუთხეა საქართველოში, — თქვა მან. — ამიტომ 1989 წლის დატრიალებული სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების განსახლება ძირითადად მესხეთ-ჯავახეთში და ქართლის რაიონებში მოხდა, განსახლებულია 4500 ოჯახი საქართველოს ოცდაათზე მეტ რაიონსა და ქალაქში. ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია ხულოს რაიონის სოფელი წაბლანის მოსახლეობა, რომელიც დღემდე ბათუმის დასასვენებელ სახლში ცხოვრობს. ზოგიერთი რაიონის ახლადარჩეული ხელმძღვანელები ჩასახლებულთა პრობლემებს თავისად არ მიიჩნევენ.

გზები...

ნიშანდობლივია, რომ არც ერთმა გამომსვლელმა თავისი სიტყვა მარტო პრობლემის დასახელებით არ შემოფარგლა. მინისტრმა თუ გამგებელმა, მეწარმემ თუ სკოლის დირექტორმა — ყველამ პრობლემების გადასაწყვეტ გზებზეც ილაპარაკა.

სხდომის მონაწილეების ყურადღება გამახვილდა ისეთ დიდ და მნიშვნელოვან საქმეზე, როგორიცაა მიწის პრივატიზაცია.

ამ საკითხს დაუთმეს თავიანთი გამოსვლები სოფლის მეურნეობის მინისტრმა ნოდარ ჭითანავამ და მიწის რესურსების და მიწის რეფორმის კომიტეტის თავმჯდომარემ პაატა კოღუაშვილმა.

დღემდე არ არის გადაწყვეტილი, აღინიშნა სხდომაზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდი ფასების საკითხი, რაც აფერხებს მწარმოებელსა და გადამამუშავებელ მრეწველობას შორის ხელშეკრულების გაფორმებას.

ილაპარაკეს მოქმედი ფასებისა და ფასწარმოქმნის მექანიზმის შექმნაზე, რომელიც მოაწესრიგებს ფასებს ნედლეულზე, მასალაზე და პროდუქციაზე. ითქვა ისიც, რომ ზოგ რაიონში არის მიწის ფარული პრივატიზაციის, მიწის უკანონო დაკავების, ყიდვა-გაყი-

(დასასრული მე-2 გვ.).

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ჩვენი გასაკეთებელი საქმე

(დასასრული)

დვის ფაქტები. ამან შეიძლება კიდევ უფრო დაძაბოს კრიმინოგენული სიტუაცია.

დაისახა მრეწველობის კრიზისიდან გამოყვანის კონკრეტული გზები. როგორც საქართველოს მრეწველობის მინისტრმა ბესარიონ ჯუღელმა აღნიშნა, უპირველესი ამოცანაა საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირების აღდგენა. ეს ენერგორესურსების გარდა დაკავშირებულია ნედლეულის და მასალების მომარაგების პრობლემასთანაც.

არსებული საწარმოო პოტენციალის უკეთ გამოყენების მიზნით ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მთავრობის სხდომაზე მიიჩნიეს უცხოელი პარტნიორების გამოძებნა კონტაქტების დასამყარებლად კერძოდ, ითქვა, რომ მაისის ბოლოს მრეწველობის სამინისტრო აწყობს დეკადას „საქართველო მსოფლიო ეკონომიკაში".

სხდომის მონაწილეებმა მიიჩნიეს, რომ მდგომარეობის რადიკალურად გამოსწორების მიზნით საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის, საქონელბრუნვის და ფასიანი მომსახურეობის მოცულობის მნიშვნელოვნად გაფართოებისათვის. ამ საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, რომელთაც მართებთ ღრმად გააანალიზონ ნაღდი ფულით ანგარიშსწორების მდგომარეობა. გადაუდებელი ზომებია მისაღები სასაქონლო რესურსების, პირველ რიგში სასურსათო საქონლის გამოსაძებნად. ამ ამოცანების გადაჭრას უნდა დაექვემდებაროს არასახელმწიფოებრივი ფორმების, კომერციული მაღაზიებისა და სხვათა საქმიანობა.

ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანაზე მუშაობს რესპუბლიკური პროკურატურაც. მისი საერთო ზედამხედველობის სამმართველო ამოწმებს საბანკო კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობას. ეს მეტად მნიშვნელოვანი დარგი დღეს მოუწესრიგებელია, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნის არაკეთილსინდისიერ პირებს ეს სფერო გამოიყენონ პირადი ინტერესებისათვის. მხოლოდ სახელმწიფო კომერციულმა შემნახველმა ბანკმა 1991 წლის განმავლობაში გასცა 116 კრედიტი სამი მილიარდ ხუთას ოთხმოცდათერთმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდი მანეთის საერთო თანხით. მხოლოდ დასავლეთ საქართველოს რეგიონებში 21 ორგანიზაციისათვის გაცემულია საერთო თანხა 347 მილიონი მანეთის ოდენობით. ჯერ კიდევ დაუბრუნებელია ორი მილიარდი მანეთის სესხი. ინფლაციის პროცესების გაღრმავებას ხელი შეუწყო საკრედიტო ემისიამ, რაც თავის მხრივ მრავალი ფაქტორით არის განპირობებული. მათგან უმთავრესს ყოფილი ხელისუფლების დავალებებით გაცემული კრედიტები წარმოადგენს.

მაგალითისათვის დასახელებული იყო ასეთი ფაქტი: საზოგადოება „ამჯარს" გასული წლის 17 და 22 დეკემბერს მიეცა კრედიტი 580 მილიონი მანეთის ოდენობით წლიური ჩვიდმეტი პროცენტის სარგებლობის გათვალისწინებით და ერთი წლის ვადით, კვების პროდუქტების და სამრეწველო საქონლის შესასყიდად. აღნიშნული თანხა მიზნობრივად არ აუთვისებიათ და მოსკოვში გადაურიცხავთ ერთობლივი წარმოების „ხოროსის" ანგარიშზე.

— ჩვენი აზრით,—თქვა საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ, — საგანგაშოა ისეთი მდგომარეობა, რომ ახალგაზრდა ფინანსისტები, რომლებიც ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის ეკონომიკის ახალ საბაზრო სტრუქტურებზე გადასვლას, მტკივნეულად განიცდიან ასოციაციების, ფირმების, ერთობლივი წარმოებების ყოველ შემოწმებას. მაგრამ ამის საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს, რომ პროკურატურის შემოწმების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს დაუბრუნდა მილიონობით მანეთი.

• • •

იმავე დღეს საქართველოს მთავრობამ განიხილა კურორტ წყალტუბოს პრობლემები.

საქართველოს ტელერადიოდეპარტამენტის, საქინფორმისა და „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტებმა რამდენიმე შეკითხვით მიმართეს ბატონ თენგიზ სიგუას

— როგორ შეაფასებდით საქართველოს მთავრობის გამსვლელი სხდომის შედეგებს ქუთაისსა და წყალტუბოში?

— დადებითად. საქართველოს მთავრობა, შეიძლება ითქვას, პრობლემებთან უფრო ახლოს მივიდა. თბილისიდან ზოგადად, გლობალურად დანახული საკითხები, რაიონებისა და ცალკეულ საწარმოთა ჭრილში დაკონკრეტდა. მაშასადამე, მათი გადაწყვეტის გზებიც დაზუსტდა და გადასაჭრელადაც რეალური გახდა. ქუთაისში გამართულ სხდომას საქართველოს დროებითი მთავრობა ფაქტობრივად სრული შემადგენლობით ესწრებოდა.

საქმე ის არის, რომ დღეს საქართველოში სრული ეკონომიკური დეპრესიაა. წლევანდელი პირველი სამი თვის მანძილზე პრაქტიკულად რესპუბლიკის საწარმოთა და დაწესებულებების ნახევარი გაჩერებული იყო, რაც საერთოდ განაპირობა მძიმე ენერგეტიკულმა კრიზისმა და დაძაბულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, განსაკუთრებით — დასავლეთ საქართველოში. იყო სხვა მიზეზებიც.

უნდა გამოვიდეთ ამ მძიმე მდგომარეობიდან. როგორ, რა გზებით?

ამ თვალსაზრისით მთავრობის გამსვლელ სხდომას ჰქონდა არა მარტო გარკვეული თეორიული დონე, არამედ წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობაც.

ქუთაისი დასავლეთ საქართველოს ცენტრია. იგი არის, მე ვთვლი, ქართული კულტურისა და ქართული გენის გადამრჩენი ქალაქი და ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ქუთაისში ჩატარებულიყო ეს შეკრება.

- არჩევანში არ შევმცდარვართ, რადგან გამსვლელებმა — ადგილობრივი თვითმმართველობის, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა გამოთქვეს საყურადღებო მოსაზრებები თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ ხვალ, როგორ უნდა წამოვაყენოთ ფეხზე ეკონომიკა.

ენერგეტიკული კრიზისით გამოწვეული პრობლემები დაძლეულია, მაგრამ საწარმოები ნედლეულისა და დამხმარე მოწყობილობათა დიდ ნაკლებობას განიცდიან, გრძელდება სხვა კრიზისული მოვლენებიც. ახლა მთავარია, დროულად მოვასწროთ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან პირდაპირი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება, ინტენსიურად ვეძებოთ ალტერნატიული ბაზრები საერთაშორისო ასპარეზზეც. მით უფრო, რომ აქ უკვე მოვიპოვეთ გარკვეული პოზიციები: საქართველო ოფიციალურად გახდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი, მსოფლიო ბანკის წევრი; უახლოეს დღეებში (დოკუმენტები უკვე წარვადგინეთ ლონდონში) ევროპის განვითარებისა და აღორძინების ბანკის წევრიც ვიქნებით. სამივე უდიდესი ფინანსური ორგანიზაციებია უმაღლესი ავტორიტეტით მსოფლიოში. ჩვენ უკვე შეგვეძლება უახლოეს პერიოდში (ეს ალბათ ამ ზაფხულში იქნება) სოლიდური კრედიტები მივიღოთ ამ ბანკებისგან. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წევრობა არის გარანტი იმისა, რომ კერძო ბანკები დასავლეთიდან აქტიურად დააბანდებენ კაპიტალს საქართველოში.

ქუთაისში შეკრებას ჰქონდა სხვა მნიშვნელობაც. აქ უკვე საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ საქართველოს გადარჩენა პოლიტიკური სტაბილიზაციის გარდა ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ეკონომიკის გაჯანსაღებაზე. დაწვრილებით განვიხილეთ როგორც ჩვენი მრეწველობის, ასევე, განსაკუთრებით, აგროსექტორის მტკივნეული საკითხები. დღევანდელმა საუბრებმა ცხადყო, რომ მონდომება, რომელიც აქ გამჟღავნდა, საქმის კეთებისათვის მზადყოფნა, პრივატიზაციის ფონზე, რომელიც დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ნორმალურად მიმდინარეობს, იმედის სრულ საფუძველს გვაძლევს. მნიშვნელოვანი ყურადღება დავუთმეთ პრივატიზაციის პროცესების შემდგომ განვითარებას: 10 მაისისათვის დამთავრდება განკერძოების ძირითადი იურიდიული ბაზის შექმნა, 20 მაისისათვის კი აქტიურად დაიწყება მისი განხორციელება. პირველ რიგში იგი შეეხება ვაჭრობის, მომსახურების, მსუბუქი მრეწველობის ობიექტებს და ა. შ.

დღევანდელ სხდომაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მოშლილი გვაქვს საფინანსო დისციპლინა: 3-4 თვის განმავლობაში ზოგან ხელფასებიც კი არ მიუღიათ. პენსიონერები უპენსიოდ დარჩნენ. რესპუბლიკაში ფულის ნიშნების დიდი ნაკლებობაა. ასეთია რეალობა, მაგრამ ამის კონსტატაცია არ კმარა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენი ბანკების ხელმძღვანელთა ყურადღება მივაქციო ამ სფეროში არსებულ თავაშვებულობას. დღეს უმკაცრესად უნდა დავიცვათ საბანკო-საკრედიტო დისციპლინა, ფულის ნიშნები პირველ რიგში გავცეთ პენსიონერებისათვის, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელფასებისათვის, და მხოლოდ შემდეგ — სხვა კრედიტებისათვის.

შეხვედრა გვქონდა წყალტუბოშიც. საქართველოს საკურორტო სისტემის ეს თვალსაჩინო უბანი დღეს პრაქტიკულად არ მუშაობს, საქმე ის არის, რომ პოლიტიკური დესტაბილიზაცია, რომელიც საქართველოში ბოლო ორი წელიწადია არის, რასაკვირველია, ვერ ქმნის დამსვენებლების მოზიდვის პირობებს. არადა, წყალტუბო არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიო მნიშვნელობითაც გამორჩეული კურორტია. ჩვენ დღეს მოვილაპარაკეთ კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის გადაუდებელ საშუალებებზე, პირველი, ეს არის თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების აღდგენა, და, მეორე, — სასურსათო პროდუქტებით წყალტუბოს სანატორიუმების მომარაგება. დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს მომავალში აქ შეიძლება მოვიზიდოთ უცხოური ინვესტიციები, რომლებიც ადგილობრივ ინტელექტუალურ პოტენციალთან ურთიერთობაში შექმნის საკურორტო, სამედიცინო მომსახურების თანამედროვე სპექტრს.

ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად

კურორტის, ქალაქის ხელმძღვანელობა შეხვდა მინისტრთა კაბინეტის თითქმის ყველა წევრს, ყველა საჭირბოროტო საკითხი განხილულ იქნა. ჩვენ ამ მუშაობას თბილისშიც გავაგრძელებთ და უახლოეს მომავალში, ალბათ, მივიღებთ საგანგებო დადგენილებას ქალაქ-კურორტ წყალტუბოს განვითარებისა და პერსპექტივის თაობაზე.

გვიჭირს, ძალიან გვიჭირს — ეკონომიკურად... მაგრამ მე ბუნებით ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ ის დიდი საგარეო-პოლიტიკური ძვრები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მიმართ ხდება, კარგ ნაყოფს გამოიღებს. 60-ზე მეტმა სახელმწიფომ უკვე აღიარა საქართველოს სუვერენიტეტი, აქტიურად მიმდინარეობს პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. დღეისთვის ჩვენთან ასეთი ურთიერთობები დაამყარეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, საბერძნეთმა, ნიდერლანდებმა, კუბამ. დაუსრულებლივ ვიღებთ ტელექსებსა და ტელეფაქსებს საზღვარგარეთის ქვეყნების მისიების ჩამოთვლის თაობაზე, რომლებიც აპირებენ დაამყარონ ჩვენთან დიპლომატიური კავშირები. ეს იმის ნიშანია, რომ საქართველო უკვე აღიარებულია როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. უახლოეს მომავალში ამას მოჰყვება მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებებიც.

არ მინდა ჩემი ხალხი დავამშვიდო განცხადებით, რომ 2-3 წელიწადში ყველაფერი რიგზე იქნება. არა, ალბათ, 5-7 წელიწადი მაინც საჭიროა საიმისოდ, რომ საქართველომ ევროპის ქვეყნების ცხოვრების მინიმალურ დონეს მიაღწიოს. მაშინ საშუალება მოგვეცემა დავაყენოთ საკითხი ევროსაბჭოში, ევროპის საერთო სახლში ჩვენი მიღების შესახებ.

ჩვენი საგარეო პოლიტიკური მიმართულების ვექტორი განსაზღვრულია, ჩვენ დასავლეთის ვექტორი ავირჩიეთ. ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, საქართველოს არ ჰქონია ამის საშუალება. დღეს გზაჯვარედინზე ვიმყოფებით და რამდენად სწორია ჩვენი არჩევანი, ამას ალბათ ჩვენი შთამომავლობა იტყვის. მე მგონი, რომ ჩვენ არ გვეშლება.

— ეკონომიკის, სოციალური სფეროს გაჯანსაღებაზე, მოსახლეობის მკურნალობაზე რომ საუბრობდით, თქვენ განკურნების კიდევ ერთი ასპექტი ახსენეთ...

— დიახ, ეს ჩვენი უბედურებაა და მე პირველ რიგში მსურს, რომ ჩვენი ერი სულიერად განიკურნოს. იმ იდეოლოგიურ პრესს, რომელსაც განვიცდით, არ შეიძლება ჩვენი შეგნების დეფორმაცია არ გამოეწვია, თავისი დაღი არ დაესვა ჩვენი საზოგადოებისთვის. პედაგოგებთან შეხვედრისას ერთ-ერთმა ქალბატონმა განმიცხადა, რომ უბედურები ვართ თურმე იმიტომ, რომ გამსახურდია გავაძევეთ საქართველოდან; რომ ეს იყო კაცი, რომელსაც დიდი სულიერი მისია ჰქონდა დაკისრებული და რომელიც მთელ მსოფლიოს ამ საუკუნის დამლევს ქართულ ენაზე აალაპარაკებდა; რომ ჩვენ განსაკუთრებული ერი ვართ, ინგლისელებზე, ავსტრიელებზე, გერმანელებზე და ა. შ. მაღლა მდგომი. ეს არის მძვინვარე ნაციონალიზმი, რომელიც ჩვენი საზოგადოებისათვის აბსოლუტურად მიუღებლად მიმაჩნია.

ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა შედარებით მალე შეიძლება, მაგრამ ერის სულიერ განკურნებას დიდი პერიოდი ჭირდება.

ქართველი ერი ღონიერია და, დარწმუნებული ვარ, ეს განკურნებაც მოხდება.

— მთავრობის გამსვლელი სხდომა გამონაკლისია თუ სისტემად ჩამოყალიბდება?

— ვფიქრობ, რომ ასეთი გამსვლელი სხდომები უნდა მოეწყოს საქართველოს უმეტეს რეგიონებში. ჩატარდება ასეთი სხდომა ქართლისა და კახეთის რეგიონებისთვისაც. იქ შედარებით სიმშვიდეა. ხალხი შრომობს. ქუთაისში რომ მივფრინავდით, ილუმინატორიდან ვაკვირდებოდი ჩვენს მინდვრებს, ვენახებს. მიწა დამუშავებულია. ერთია მთავარი. ჩვენ თუ მოსავლიანობა არ გავზარდეთ, საქართველო ფეხზე ვერასოდეს დადგება. არ გვექნება საშუალება ყოველწლიურად ვიყიდოთ ორი მილიონი ტონა ხორბალი, ორას სამოცი ათასი ტონა შაქარი, ოთხმოცი ათასი ტონა ხორცი და ხორცის პროდუქტები, მილიონ ტონაზე მეტი რძე და რძის ნაწარმი. ჩვენ მცირემიწიანი რესპუბლიკა ვართ, მაგრამ მიწა მადლიანია, წყლის რესურსები პრაქტიკულად განუსაზღვრელი გვაქვს და ყველაფერ ამას რაციონალურად უნდა გამოყენება. დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებთ მიწის პროდუქტიულობის 2-3-ჯერ ამაღლებას. ამის წინაპირობაა მიწის განკერძოება, თუმცა მარტო ეს საკმარისი არ არის. ჩვენ გვჭირდება ენერგოაღჭურვილობის მნიშვნელოვანი ამაღლება. ჩამორჩენა სოფლის მეურნეობის ენერგო და მექანოაღჭურვილობაში კატასტროფულია — 10-15-ჯერ ჩამოვრჩებით აშშ და კანადას. მაგრამ გვაქვს მდგომარეობის გაუმჯობესების შესანიშნავი საშუალებანი. აი, თუნდაც ქუთაისის მოტობლოკებისა და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა. თუ ამ სიმძლავრეებს ავამოქმედებთ, უახლოეს 5 წელიწადში სოფელს მექანო და ენერგოაღჭურვილობით უზრუნველვყოფთ. ეს კი მიწის ნაყოფიერების ამაღლების განმსაზღვრელი ფაქტორია, შვეიცარიის და, განსაკუთრებით, ჰოლანდიის მაგალითი ამას გვიდასტურებს, მაგრამ თავაუღებელი შრომა დაგვჭირდება. თორემ ახლა რა მდგომარეობაა? გულახდილად გითხრათ, უცხოელ სპეციალისტებთან შეხვედრების დროს მეუხერხულება კიდეც ჩვენი სოფლის მეურნეობის კონკრეტულ მაჩვენებლებზე საუბარი. როდესაც გაიგებენ, რომ ჩვენთან რძის საშუალო წველადობა 1200-1500 ლიტრია, ეღიმებათ ხოლმე. ჰოლანდიაში ძროხა თუ 6 ათას ლიტრზე ნაკლებს იწველის, მერძევედ არ თვლიან. კანადაში სულ ცოტა 50-60 ცენტნერია ხორბლის საჰექტარო მოსავლიანობა. ჩვენთან — 18-20 ცენტნერს არ აღემატება. ჩვენი შრომისუუნარობის ბრალია, მიწას ვერ დავაბრალებთ.

მაგრამ ქართველი კაცის გენში არის შრომის დიდი უნარი. ვინ ააგო ნიკორწმინდა, ვინ შექმნა ის უნიკალური ანსამბლები, ტაძრები, რომლებიც ყველასთვის ცნობილია? ეს ხომ ქართველი კაცის მარჯვენის და გონების მადლია. დღეს სტიმული უნდა მივცეთ. თავიდან უნდა გავაღვიძოთ ეს ისტორიული უნარი.

და თუ ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც ნავარაუდევი გვაქვს, დარწმუნებული ვარ, მალე დადგება პერიოდი, როცა საქართველო აყვავებული ქვეყანა იქნება და იგი იპოვის თავის ადგილს მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში.

გ. ჩიქოვანი,
ა. ბალთიძე.

საჭიროა სამართლებრივი შეფასება

აი უკვე ორი თვეა, რაც აღდგა საქართველოს კონსტიტუცია. მრავალწლიანი უკანონობისა და გაუკითხაობის შემდეგ კვლავ იზეიმა სამართლიანობამ. ამაზე ბევრი ითქვა, ბევრიც დაიწერა, მაგრამ უმეტესად ავტორები საკითხის პოლიტიკურ და ისტორიულ მხარეს ეხებოდნენ. მეტად საჭიროა ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის სამართლებრივი შეფასებაც.

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ თამაზ შავგულიძეს.

— **კონსტიტუციის** აღდგენას პოლიტიკური და ისტორიული სამართლიანობის თვალსაზრისით მიესალმება ყველა, ვინც ჭეშმარიტი პატრიოტია და საქართველოსთვის უძგერს გული. ეს ისტორიული გადაწყვეტილება ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად მიმაჩნია.

გავიხსენოთ ისტორია. საქართველოს რესპუბლიკამ თავისი პირველი კონსტიტუცია მიიღო მაშინ, როდესაც ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას, დღეს რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად გვევლინებიან, თავისი დამწერლობაც კი არ გააჩნდა. ეს მრავლისმეტყველი ისტორიული ფაქტია. სამწუხაროდ, ჩვენს კონსტიტუციას ტრაგიკული ბედი ეწია. იგი გამოქვეყნებისთანავე ისტორიის კუთვნილებად იქცა. საქართველოს კონსტიტუცია მიიღო დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს ბათუმში გემზე მაშინ, როცა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ემიგრაციისათვის, ხოლო საქართველო უკვე დასაპყრობად იყო განწირული. სამოცდაათი წლის შემდეგ ქართველ ერს კვლავ მიეცა უფლება აღედგინა თავისი პირველი კონსტიტუცია.

სწორედ ამიტომ ამ ფაქტს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამხედრო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიც აღიარებულია 1921 წლის კონსტიტუციის ამოქმედება დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით. მიმაჩნია, რომ საჭიროა მუშაობას შეუდგნენ იურისტები.

მაგრამ არსებული კანონმდებლობა კი რომ დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით მივუსადაგოდ კონსტიტუციას, ბუნებრივია, ჯერ უნდა დადგინდეს კონკრეტულად რით გამოიხატება ეს „რეალიები" და მიეცეს მას კონსტიტუციური (საკანონმდებლო) ფორმა. დეკლარაციის 1 პუნქტში აღნიშნულია: „საქართველო რესპუბლიკის დღეს არსებული საზღვრებისა და ეროვნული სახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზეთისა და აჭარის დღევანდელი სტატუსის) შეუცვლელად აღიარებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობას და მის ამოქმედებას დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით".

ასე, რომ დეკლარაციაში „არსებული რეალიებიდან" ძირითადად გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიული საკითხი და აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი სტატუსის პრობლემა, რითაც შეტანილია ცვლილება 1921 წლის კონსტიტუციის 107-ე მუხლში, რომლის თანახმად „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს — აფხაზეთის (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალის ოლქს ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა".

— აქ ალბათ ამგვარი საკითხი წამოიჭრება: როდიდან შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ამოქმედებულად?

— კონსტიტუციის ამოქმედების, ე. ი. მისი ძალაში შესვლის თარიღზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მას დიდი სამართლებრივი შედეგები უნდა მოსდევდეს.

არც დეკლარაციაში და არც დადგენილებაში მითითებული არ არის ვადა, თუ როდიდან უნდა ამოქმედდეს 1921 წლის კონსტიტუცია. თუ კანონში ეს პირდაპირ არ წერია, მაშინ მოქმედებს კანონის ძალაში შესვლის საერთო პრინციპი. კანონი მისი მიღებიდან არა უგვიანეს 7 დღისა ქვეყნდება პრესაში და ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ. ამ შემთხვევაში ახალი კონსტიტუცია არ მიგვიღია, ძველი აღვადგინეთ. თავის დროზე, ჯერ კიდევ 1921 წელს იგი გამოქვეყნებული იყო. ამიტომ თუკი კონსტიტუციის აღდგენის და ამოქმედების თარიღად მივიღებთ სამხედრო საბჭოს დეკლარაციას და დადგენილებას კონსტიტუციის და მისი ამოქმედების თაობაზე, უნდა ვთქვათ, რომ კონსტიტუცია უკვე მოქმედებს.

— თუ ასეა, მაშინ გამოდის, რომ 1921 წლის კონსტიტუცია ძალაში ამა წლის 6 მარტს შესულა.

— ასე შეიძლება ვიფიქროთ, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ დეკლარაცია და დადგენილება, თუკი სხვაგვარი მითითება არ არის, ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან შედის.

— თუკი 1921 წლის კონსტიტუცია უკვე ამოქმედებულია, მაშინ რა უარყოფით სამართლებრივ შედეგებთან შეიძლება გვქონდეს საქმე?

— მოგეხსენებათ, რომ კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია. ყველა სხვა კანონი მას უნდა შეესაბამებოდეს. თუ კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, იგი ბათილია. თუ კი რომელიმე თანამდებობის პირი მაინც იყენებს ასეთ კანონს, მაშინ იგი ანტიკონსტიტუციურად მოქმედებს. ეს საერთო პრინციპია. სწორედ ამ პრინციპზეა აგებული 1921 წლის კონსტიტუცია. მე-8 მუხლში ვკითხულობთ: „კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედააზრის საწინააღმდეგოა. კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყველა ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს". თუკი ამ თვალსაზრისით გადავხედავთ დღევანდელ სინამდვილეს, მივიღებთ კონსტიტუციური ნორმების დარღვევას. მოვიტან მხოლოდ ზოგიერთ მაგალითს: კონსტიტუციის 76-ე მუხლის თანახმად „საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო — სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი. სენატი მოვალეა: ა) თვალყური ადევნოს კანონის დაცვას და ბ) განაგოს სასამართლო ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ".

სინამდვილეში სადღეისოდ საქართველოში ორი უმაღლესი სასამართლოა: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო. 1921 წლის კონსტიტუციის ძალაში შესვლისთანავე უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო უნდა გაუქმებულიყო, რადგან იგი არაკონსტიტუციურ ორგანოდ გადაიქცა. გარდა ამისა, კონსტიტუციაში პირდაპირ არის განსაზღვრული უმაღლესი სასამართლოს — სენატის ფუნქცია. ეს არის საქმეთა საკასაციო და საზედამხედველო წესით განხილვა. სინამდვილეში უზენაესი სასამართლო საქმეებს პირველი ინსტანციითაც განიხილავს, რაც აგრეთვე არაკონსტიტუციურია.

1921 წლის კონსტიტუცია არ ცნობს მიწის კერძო საკუთრებას. მიწა შეიძლება იყოს მხოლოდ ცალკეულ პირთა მფლობელობაში (116-ე მუხლი). საქართველოში კი დაიწყო მიწის პრივატიზაცია, რაც არაკონსტიტუციური მოქმედებაა. სასწრაფოდ საჭიროა ცვლილების შეტანა. სწორედ ეს „დღევანდელი რეალიები" იყო ნაგულისხმები, როცა საქართველოს კონსტიტუცია ამოქმედდა. შეუსაბამობების მაგალითების მოტანა კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ ესეც საკმარისია.

— თქვენ აღიარებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის აღდგენა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ აქვე მიუთითებთ დარღვევებზე. ხომ არ არის აქ წინააღმდეგობა?

— არავითარ შემთხვევაში. კონსტიტუციის აღდგენა, ვიმეორებ, სამართლიანობის და დემოკრატიის აღდგენაა. მაგრამ, საჭიროა დაუყოვნებლივ მასში აუცილებელი ცვლილებების შეტანა.

აქ უპრიანია შევახსენოთ საქართველოს დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების ფაქტი. სისხლის სამართლის კოდექსი მიიღო საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ 1960 წლის 30 დეკემბერს. მაგრამ იგი ამოქმედდა, ესე იგი ძალაში შევიდა, 1961 წლის 1 მარტიდან. ეს თვით კანონში იყო აღნიშნული. ასევე უნდა მოვქცეულიყავით ამ შემთხვევაშიც.

ვფიქრობ, სახელმწიფო საბჭომ გარკვეული შესწორება უნდა შეიტანოს იმ დეკლარაციასა და დადგენილებაში, რომელმაც 1921 წლის კონსტიტუცია აღდგენილად და ამოქმედებულად გამოაცხადა. კერძოდ: დეკლარაციის პირველი პუნქტიდან უნდა ამოღებულ იქნეს სიტყვა „ამოქმედება", ხოლო დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი: „საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია ძალაში შევიდეს მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ. საქართველოს დროებით მთავრობას დაევალოს შეიტანოს კონსტიტუციაში ცვლილებები არსებული რეალიების გათვალისწინებით - ისე, რომ არ იქნეს ხელყოფილი კონსტიტუციის დედააზრი. კონსტიტუციის საბოლოო ტექსტი განიხილოს და დაამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ". დადგენილების შემდეგი პუნქტები უნდა დარჩეს უცვლელად. ეს „მცირე" დაზუსტება არსებითად შეცვლის პრობლემის გადაწყვეტის სამართლებრივ მხარეს.

სარედაქციო ფოსტიდან

იყო დრო, როცა თბილის-თელავის მატარებელი თბილისიდან დღეში სამჯერ გადიოდა და მგზავრებიც ამით კმაყოფილი იყვნენ. მაგრამ ამ ზამთარს რესპუბლიკაში ელექტროენერგიის დეფიციტი რომ შეიქმნა, მატარებლის მოძრაობა შეწყდა და კახეთის ზონის მცხოვრებნი ორიოდე ავტომანქანის ანაბარა დარჩნენ. აბა, მგზავრებს ეს ეყოფოდათ? არადა, თბილისის ბაზრებს პროდუქტებით ესენიც ამარაგებდნენ და რომ ველარ ჩამოაქვთ, ფასებმა საგრძნობლად აიწია.

ახლა კახეთში ელექტროენერგიით მომარაგება გაუმჯობესდა. რაღას უცდიან და არ აღადგენენ თბილის-თელავის მატარებლის მოძრაობას თავისი ძველი გრაფიკით?

ვ. დათუაშვილი,
თბილისი.

ლოგინს მიჯაჭვული 85 წლის პენსიონერი ქალი ვარ. მაქვს მეზობელთან საერთო სარგებლობის სათავსები. ჰოდა, ეს მეზობელი იმის იმედით, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი ბინა მას დარჩება, პრივატიზაციის ნებართვას არ მაძლევს, საბუთებზე ხელს არ მიწერს.

რა გამოდის? ბინას ვინ მიუჩნის — მთავრობა თუ მეზობელი? აბა, რომელი მეზობელი მოგცემს პრივატიზაციის ნებართვას, როცა მას შენი ბინის ხელში ჩაგდება უნდა? ასე არ არის?

ასე რომ, ბინის პრივატიზაციის უფლებით თბილისის ძირძველი მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ისარგებლებს, რადგან ისინი არაიზოლირებულ ბინებში ცხოვრობენ და ჩემი მეზობლის მსგავსებს კი ქვეყნად რა დალევს? ბინის მესაკუთრედ გახდომის ბედნიერება ისევ იმ ბედნიერი ადამიანების ხვედრია, რომლებიც იზოლირებულ, კეთილმოწყობილ ბინებში ცხოვრობენ. შენ შეიძლება მეზობლის წინააღმდეგობის გამო ერთი ოთახის მესაკუთრეც კი ვერ გახდე. მაშინ, როდესაც სხვას შეუძლია რაღაც მაქინაციებით მიღებული რამდენიმე იზოლირებული ბინის მესაკუთრე გახდეს.

არა, ასეთი კანონი არ მომწონს, მე მისი წინააღმდეგი ვარ!

ა. ჩოლოყაშვილი,
თბილისი

ჩვენ თბილისის მოხუცთა და ინვალიდთა პანსიონატში ვცხოვრობთ. არავინ იფიქროს, რომ ცხოვრებაზე ხელი გვქონდეს ჩაქნეული ან ყველაფრისადმი ინტერესი დაგვეკარგოს. პირიქით... ოღონდ ესაა, დაავადებამ ისე დაგვჯაბნა, რომ პანსიონატის შენობიდან გასვლაც კი არ შეგვიძლია.

ჩვენ ისეთი ხალხი ვართ, რომლებსაც ყველაფრის ატანა და მოთმენა შეგვიძლია. ეს ჩვენმა პირადმა ცხოვრებამ გვასწავლა, მაგრამ ძნელია აიტანო ისეთი რამ, ურომლისოდაც არსებობა არ შეგვიძლია. ჩვენთვის პრესა ძირითადი ინფორმაციის საშუალებაა და ალბათ, მიხვდებით რას ნიშნავს ჩვენთვის გამოწერილი გაზეთების მიუღებლობა.

ლ. ჯავახაძე, დამსახურებული ჟურნალისტი; რ. ჟორდანია, ვეტერანი მფრინავი.

წერილი რედაქციას

გზა კლარჯეთისა

ვალერიან ადეაძე, რამაზ კლიმიაშვილი

დღეს ვერ შევძლებთ გადაჭარბებით შევაფასოთ ჩვენს ეკონომიკურად ყველაზე მძლავრ მეზობელთან — თურქეთთან ვაჭრობის მნიშვნელობა. მაგრამ მასთან საქონლის გაცვლის მხოლოდ ერთი სახმელეთო გზა გვაქვს — სარფის კარი, რომელმაც თავისი გამტარუნარიანობა დიდი ხანია ამოწურა, ახალი საბაჟოს მშენებლობა კი პრობლემას მხოლოდ ნაწილობრივ შველის. ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება ახალი დიდი გამტარუნარიანობის მქონე „კარის" გახსნა თბილისთან გაცილებით უფრო ახლოს, კერძოდ კი ახალციხის რაიონში.

ისტორიულად აქ გადიოდა გზა არტანუჯისკენ — შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომერციული ცენტრისაკენ, რომელიც დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არტანუჯი არის საქართველოს ისტორიული პროვინციის ტაო-კლარჯეთის ზუსტად შუაგულში, სადაც აღმოცენდა ქართული სამონასტრო კულტურა და საიდანაც, უფრო ადრე, შემოვიდა საქართველოში ქრისტიანობა (ქალაქ არტაანიდან — ახალქალაქში). აი რას გვეუბნებიან ქართული ისტორიული წყაროები: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმავალი უნდა დადგომოდაო გზასა ქართლისასა" (თურქულად — „გურჯი ბოგაზი") — იხსნება ჯუანშერთან, „გზასა ქართლისას რომ გაივლიდა, მოადგებოდა გზასა კლარჯეთისა".

დღევანდელი თურქეთის ეს ნაწილი — ისტორიული ტაო-კლარჯეთი — იმ მრავალი ასეული ათასი ქართველის ყურადღების მიღმა რჩება, რომლებიც ყოველწლიურად სარფიდან შედიან თურქეთში და რომლებიც სანაპირო ზოლს, კერძოდ კი ლაზისტანს „ითვისებენ". ხოფიდან ართვინის გუბერნიაში მოხვედრა კი შეიძლება, მაგრამ მოუხერხებელია და ამიტომ ქართველ ტურისტთა უდიდეს ნაწილს ქართული კულტურის ძეგლებით ასე უხვად მოფენილი ქართული ისტორიული პროვინცია არც კი უნახავს.

თურქეთში ახალი გასასვლელის გახსნა წინა ხელისუფლებას პრიორიტეტად ჰქონდა გამოცხადებული, მაგრამ აქ ლაპარაკის გარდა არაფერი გაკეთებულა. არადა, თავისი ეკონომიკური პოტენციალით ეს გასასვლელი გაცილებით უფრო პერსპექტიულია, ვიდრე სარფის კარი. საქმე იმაშია, რომ სარფს იქით, თურქეთის მხარეს, მთები პირდაპირ ზღვაში ჩადიან, ხშირია მეწყერები — ის რეგიონი ხომ განთქმულია თავისი ნალექების რაოდენობით. ყველაფერი ეს იქ გზის გაფართოებას ძალიან რთულ საინჟინრო პრობლემად ხდის. დასაწყისისათვის, „კარის გაჩენისას" ეს ერთადერთი გასასვლელი მისაღები იყო, ახლა კი ახალ სიტუაციაში ნამდვილად აღარ ჰყოფნის სულ უფრო მზარდ სავაჭრო მოცულობებს. თან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სარფის კარით ყოველდღიურად სარგებლობს დასავლეთ საქართველოს მრავალი ათასი მცხოვრები რიზეს ბაზარში წასასვლელად — ეს წვრილი ვაჭრობა (როდესაც ის კანონის ფარგლებს არ სცილდება) ორივე მხარისთვის ძალიან სახარგებლოა და ამიტომ მომავალში ეს გასასვლელი მთლიანად წვრილ ვაჭრებს უნდა დავუტოვოთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო დროს იქმნება მცდარი საზოგადოებრივი აზრი ასეთი ვაჭრობის წინააღმდეგ. თუმცა უარყოფითი მოვლენები, რომლებიც მას ახლავს, გარდამავალი პერიოდის „საყმაწვილო სენია" და ეკონომიკური იზოლაციის ვაკუუმიდან გამოსული ხალხის უვიცობითაა განპირობებული. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა ქართველობამ ვაჭრობის კულტურა დიდი ხანია დაკარგა, ხოლო აღმოსავლეთში ვაჭრობა ხელოვნებად ითვლება; ამიტომ საქართველოდან თურქეთის ბაზრებში ჩასული ჩვენი ხალხი, როგორც წესი, უმწეო მდგომარეობაში ვარდება და ხშირად მტრულ დამოკიდებულებას გრძნობს, რისი მიზეზიცაა ვაჭრობის ელემენტარული წესების არცოდნა.

მაგალითად, აღმოსავლეთში ვაჭრობა ნელი ტემპით მიმდინარეობს, მყიდველ-გამყიდველი ფასებზე მორიგებას კარგა ხანს უნდება და დროს კეთილმოსურნე საუბარში ატარებენ; ამის საწინააღმდეგოდ საბჭოთა ადამიანი მუდამ ჩქარობს და გაღიზიანებულია, თან ხშირად, აღმოსავლური წესით პირველად შემოთავაზებულ აუცილებელ ძალიან დაბალ ფასს შეურაცხყოფად იღებს და ზოგიერთიც თურქებს მიმიკითა თუ სიტყვებით „საპასუხო" შეურაცხყოფას აყენებს. ეს მით უმეტეს მიუღებელია, რომ აღმოსავლეთში ვაჭრობა ქალების საქმედ არ ითვლება, ხოლო ჩვენგან ჩასულ მოვაჭრეთა ძირითადი ნაწილი ქალები არიან და მათი უდიერი არააღმოსავლური შელაპარაკება მყიდველ მამაკაცებთან თურქებისა და იქაური ქართველების აღშფოთებას იწვევს. მაგრამ ეს არის კონფლიქტი საბჭოთა და ტრადიციულ კულტურებს შორის და ქართულ-თურქულ დამოკიდებულებებთან კავშირი არა აქვს. ამიტომ ყველაფერი ეს გარდამავალია და, ალბათ, ჩვენც დავეუფლებით ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული ქცევის კულტურას — ყველაფერ ამას ხომ 70 წელი ვიყავით მოწყვეტილი.

სამხრეთ საქართველოში თურქეთში გასასვლელი ახალი კარის გახსნა მესხეთ-ჯავახეთს — ამ ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონს ააყვავებს, ისევე როგორც სარფის კარის გახსნა ასე დაეტყო აჭარას, მაგრამ ამ კარის გახსნით კიდევ ერთ დიდ ეროვნულ საქმეს გავაკეთებთ — დაცარიელებულ ართვინის გუბერნიაში ბიზნესს შევიტანთ, ისევე როგორც ორიოდე წლის წინ შევიტანეთ ლაზისტანში. დღეს ართვინის ქართული მოსახლეობა ტოვებს ამ გუბერნიას მისი უპერსპექტივობის გამო (ყოველგვარი გასასვლელი გზის გარეშე იგი ჩიხსა ჰგავს), ხოლო თუ იქ ისევ ძველი სავაჭრო გზა აღდგება, ტაო-კლარჯეთს სიცოცხლე დაუბრუნდება!

ახლა რა არის საჭირო? მხოლოდ მონდომება. „სოციალიზმის" 70 წელმა საბჭოთა მოქალაქეები უინიციატივობას შეაჩვია — ყველაფერი მთავრობას უნდა გაეკეთებინა. ალბათ ამ კარის გახსნასაც მოახერხებდა მთავრობა ერთ დღეს, მაგრამ დრო არ ითმენს— ეს ნამდვილად ეროვნული საქმეა და ამიტომ იგი, პირველად ჩვენს ახალ ისტორიაში, კერძო ინიციატივით უნდა შესრულდეს, კერძო კაპიტალის მოზიდვით. საქართველოში მრავლადაა ფირმები, რომელთა მთელი საქონელბრუნვა თურქეთთან ან თურქეთის გზით ვაჭრობაზეა დამოკიდებული. ბევრი გარანტიას იძლევა, რომ ისინი მზად არიან დააბანდონ კაპიტალი თურქეთისკენ ახალი თანამედროვე გასასვლელის მშენებლობაში.

აქვე საჭიროა გავიხსენოთ ლამანშის გვირაბის მშენებლობის ისტორია — იდეა ას წელიწადზე მეტია არსებობდა, მაგრამ ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოაბა თავი მას, ვიდრე რამდენიმე წლის წინ არ გადაწყდა კონსორციუმის შექმნა კერძო კაპიტალის ბაზაზე — თუმცა მთავრობის კაპიტალიც იღებდა მონაწილეობას, მაგრამ მხოლოდ როგორც აქციონერის სახით. და მხოლოდ ამის შემდეგ დაიძრა ადგილიდან ამ გვირაბის სერიოზული მშენებლობა და დასასრულს უახლოვდება.

ამიტომ ჩვენთვისაც საჭირო იქნება კონსორციუმის ან სპეციალური ფონდის შექმნა, რომელიც იკისრებდა თანამედროვე გზის გაყვანას ახალციხიდან (საზღვრამდე (21 კმ), დიდი, თანამედროვე და სწრაფად გამტარი საბაჟოს მშენებლობას და საექსპლუატაციოდ ყველაფერ ამის უმოკლეს დროში გადაცემას. მთავრობამ კი თავის მხრივ უნდა გააუმჯობესოს გზა ხაშურ-ბორჯომის მონაკვეთზე — ამ რეგიონს ხომ უზარმაზარი ბალნეოლოგიურ-სპორტული პოტენციალი აქვს, რომელიც მინიმალურადაც არ არის გამოყენებული.

და ბოლოს, როგორც აღვნიშნეთ, ვინაიდან ამ პროექტში თურქეთის მხარეც არის საგრძნობლად დაინტერესებული, ბუნებრივი იქნება მასში თურქული კერძო კაპიტალის მონაწილეობაც.

ასე რომ, საქართველოს მთავრობის მხრივ საჭირო იქნება მხოლოდ მორალური და იურიდიული მხარდაჭერა და, რაც მთავარია, მაისში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის დროს აუცილებელია ამგვარ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა საგარეო საქმეთა მინისტრების მხრივ.

საქართველოს ტელევიზიას კი საშუალება ეძლევა გამოიჩინოს კარგი ინიციატივა — ზაფხულში მას დაგეგმილი აქვს დოკუმენტალური ფილმის გადაღება სამხრეთ საქართველოს შუა საუკუნეების სავაჭრო გზისა და მის გარშემო განლაგებულ ისტორიული ძეგლების შესახებ, მაგრამ მასში არ შედის „გზა კლარჯეთისა", რაც გასაგები იყო დაგეგმვის დროს. მაგრამ დღეს სიტუაცია კარდინალურად იცვლება და ისტორიული ობიექტურობისათვისა და საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე საჭიროა მისი შეტანაც.

საერთოდ, ეს შეიძლება იყოს პირველი პროექტი, განხორციელებული კერძო კაპიტალის მიერ — იგი ხომ საბოლოო ჯამში ყველასთვის იქნება მომგებიანი და, რაც მთავარია, ეროვნულ საქმეს მოემსახურება! ამიტომ რაც უფრო მალე გადავალთ სიტყვიდან საქმეზე, მით უფრო კარგი იქნება ჩვენი სამშობლოსათვის.

1992 წლის 24 აპრილი.

ხიდები

ამერიკელი სენატორი საქართველოს მწვანეებთან

საქართველოს მწვანეთა ცენტრალურ ოფისს ამ დღეებში ეწვია ამერიკელი სენატორი 1968 წლიდან, აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, დემოკრატი, ბატონი ალან კრენსტონი. იგი საქართველოში ჩამოვიდა არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, გარემოს დაცვის პრობლემების გასაცნობად.

ბატონი სენატორი დაინტერესებულია საქართველოს მწვანეთა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკოლოგიური აქტივობით, მათი ურთიერთობით ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მწვანეებთან და სხვადასხვა ქვეყნების გარემოს დაცვის ორგანიზაციებთან. მათი სურვილია ახლოს გაეცნონ როგორი გზა გაიარა საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ დაარსების დღიდან დღემდე, რა ძირითადი ეკოლოგიური პრობლემები დგას მათ წინაშე და როგორია ამ პრობლემათა გადამწყვეტი გზები. დაინტერესდნენ ჩერნობილის ავარიის შედეგებით საქართველოში.

სენატორმა საკუთარი ინიციატივით დიდი სურვილი გამოთქვა ამერიკაში დაბრუნების შემდეგ კონკრეტული დახმარება გაუწიოს საქართველოს მწვანეებს.

საქართველოს მწვანეთა პრესსამსახური.

აქტუალური ინტერვიუ

გაზაფხული თანდათან იკრებს ძალას და სულ მალე შარშანდელი სტიქიით დაზარალებულ მთიან რაიონებში კვლავ გაგრძელდება აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები. რა მდგომარეობაა იქ სადღეისოდ და რა გაკეთდება კონკრეტულად წლეულს? — ძირითადად ამ საკითხებზე ვთხოვეთ ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებულ საგანგებო სიტუაციების მუდმივმოქმედი კომისიის პასუხისმგებელ მდივანს რევაზ ტყემალაძეს.

უპატრონოდ მიტოვებული სახლები?!

ანუ რა მდგომარეობაა სტიქიით დაზარალებულთათვის გათვალისწინებულ ახალმშენებლობებზე

— **მიწისძვრით** დაზარალებულ რაიონებში, — თქვა მან, — ექსტრემალური პირობების მიუხედავად შარშან მშენებლებმა დაძაბულად და ნაყოფიერად იმუშავეს. ათვისებულია 1054.7 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებები.

დამთავრდა 24. 859 საცხოვრებელი სახლის აღდგენა და მშენებლობა, რაც საერთოდ დაზიანებული სახლების თითქმის ნახევარია; ასევე დასრულდა 221 სკოლის (საერთო რაოდენობის 66 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვის 42 ობიექტის (39 პროცენტი), 19 კლუბის (18 პროცენტი) რეკონსტრუქცია-მშენებლობის სამუშაოები. საექსპლოატაციოდ გადაეცა 631 კილომეტრი საავტომობილო გზა (50 პროცენტი) და 380 კილომეტრი სიგრძის სხვადასხვა კომუნიკაციები (70 პროცენტი).

— დაზარალებული რაიონების მცხოვრებთ, კერძოდ, საჩხერელთა ერთ ჯგუფს, რომელთა წერილიც რედაქციაში მივიღეთ, აინტერესებთ წლეულს დამთავრდება თუ არა შარშანდელი დაზამთრებით შეწყვეტილი აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები და რამდენად დასრულებული ბინები ჩაბარდება მეპატრონეებს? გვეკითხებიან იმასაც, სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს მიეცემათ თუ არა რესპუბლიკის მთავრობის მიერ შარშან შეპირებული ფულადი დახმარება.

— მიუხედავად იმისა, რომ დიდთოვლობამ, უაღრესად დაძაბულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, მატერიალური რესურსების ნაკლებობამ და, განსაკუთრებით, უსახსრობამ სამუშაოთა განახლებას დაბრკოლებანი შეუქმნა, იგი მაინც გაგრძელდება, ოღონდ, ალბათ, ამჯერად მეპატრონეთა უფრო აქტიური მონაწილეობით. მშენებლები უკვე შეუდგნენ სამუშაოთა განახლების სამზადისს. ასეთ ვითარებაში საჭირო იქნება გავითვალისწინოთ კიდევ ერთი რამ: სახლი იმგვარად უნდა აღდგეს, რომ ერთი ოთახი მაინც გამზადდეს საცხოვრებლად, რათა ოჯახმა თავი ჭერქვეშ იგრძნოს, მშენებლობა კი გაგრძელდება და სახლიც დამთავრდება.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს — დაზარალებული ოჯახებისათვის ფულადი დახმარების გაწევის შესახებ, უნდა ითქვას: რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა გვაიძულებს, რომ მთელი ფულადი რესურსები დაზარალებულთა სახლების აღდგენა-მშენებლობას მოვახმაროთ.

კიდევ ერთი საკითხი: იმ ადამიანთა სახლები, რომლებსაც დაზარალებულ სოფლებთან კავშირი გაწყვეტილი აქვთ და ქალაქად ცხოვრობენ, ამჯერად არ აშენდება.

— აქამდე მხოლოდ შარშანდელი მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში გაწეულ და წლეულს ჩასატარებელ სამუშაოებზე ვილაპარაკეთ. მაგრამ, სამწუხაროდ, სტიქიამ მანამდეც რომ ბევრი ოჯახი დატოვა უსახლკაროდ? მათთვის თუ გაკეთდა რაიმე შარშან?

— თქვენ, ალბათ, აჭარასა და სვანეთის რაიონებში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები გყავთ მხედველობაში.

მათთვის დახმარების სამუშაოები შარშან ფაქტობრივად არ ჩატარებულა, რადგან მთელი ყურადღება მიწისძვრის რაიონებში იყო გადატანილი. დაგეგმილი 2772 სახლიდან მშენებლობა დაწყებულია 2101 სახლზე, ჩაბარებით კი მხოლოდ 116 სახლი ჩაბარდა. სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტებისა და საინჟინრო ნაგებობების მშენებლობისთვის გათვალისწინებული 32,3 მილიონი მანეთი მშენებლებმა შარშან მხოლოდ 29 პროცენტით აითვისეს. სათანადოდ ვერც იმ ოჯახებს დავეხმარეთ, რომლებსაც საცხოვრებელი სახლები საკუთარი ძალებით უნდა აეშენებინათ. ამის გამო მათი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დროებით საცხოვრებელში ცხოვრობს.

— ასეთ სიტუაციაში, ალბათ, დამეთანხმებით, მეტი რომ არა ვთქვათ, ერთობ კურიოზულად ჩანს ის ფაქტი, რომ, თურმე, ასეთი კატეგორიის დაზარალებულთათვის აშენებული ბევრი სახლი დღესაც კარჩამოკეტილია, რადგან მეპატრონენი სხვადასხვა მიზეზით უარს ამბობენ შესახლებაზე. რამდენად მართალია ეს ფაქტი?

— სტიქიით დაზარალებულმა ოჯახებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ბევრგან შექმნეს ახალი დასახლებანი სოფლისთვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტით. ბევრ ასეთ სოფელს ამშვენებს კეთილმოწყობილი ორსართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები და ეზო-კარმიდამო, სკოლა, საბავშვო ბაღი, მაღაზია თუ ამბულატორია. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ყველა დასახლებაზე. სამწუხაროდ, თქვენს მიერ აღნიშნული ფაქტი სწორია. უკვე აშენებული 2392 სახლიდან დღეისთვის ჩასახლებულია მხოლოდ 1545. მრავალგზისმა მიმართვამ, მათ შორის ოფიციალურმაც, თხოვნამ და შეხსენებამ, რომ აეთვისებინათ აშენებული სახლები და მოწყობილი კარ-მიდამო, ნაყოფი ვერ გამოიღო.

არადა, სიტუაცია მართლაც კურიოზულია: სტიქიით დაზარალებული აჭარის რაიონების ათობით ოჯახი წლების მანძილზე გარდაბნის, მარნეულისა და თეთრიწყაროს რაიონებში მოუწყობელ დროებით საცხოვრებლებს აფარებს თავს, აშენებული სახლები კი ასევე წლობით ცარიელია (?!).

ამიტომაც, ალბათ, დადგა დრო, რომ ყოველგვარი მორიდებისა და მოსალოდნელი უსიამოვნების მიუხედავად საჭიროების მიხედვით გადავანაწილოთ ეს სახლები.

— და ბოლოს, როგორი იქნება საქართველოს მშენებელთა წლევანდელი პროგრამა?

1991 წლის დაკონსერვებული განსაკუთრებული მნიშვნელობის საბინაო, სამოქალაქო თუ სამრეწველო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის განგრძობა; მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში აღდგენა-მშენებლობის სამუშაოთა განგრძობა დაზუსტებული პროგრამით; ქალაქ თბილისში აღდგენითი სამუშაოების განხორციელება; აჭარასა და სვანეთში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოების განგრძობა დაზუსტებული პროგრამით.

ესაუბრა
რუსლან რუსია.

• • •



სურათზე: მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესია.

ხსოვნა

მიწისძვრათა ეპიცენტრში

მზია კობერიძე.

ჩემი ცხოვრების მიხვეულ-მოხვეული მდინარის არცთუ შორეულ თვალსაწიერზე ყოველთვის ილანდება „მწუხარე ხომალდი", „დახუნძლული ძვირფასი მიცვალებულებით" (როგორი ზუსტი და ტევადი პოეტური ფრაზაა მურმან ლებანიძის). მიდის იგი, თითქოს უცხო რამ ნაპირისაკენ მიისწრაფის. ისინი კი, ვისი ხატებაც ჩემს წარმოსახვას იმ ხომალდში ჩაუსახლებია, მაინც არ მტოვებენ, ჩემთან რჩებიან, მამხნევებენ და ძალას მმატებენ.

ასე კარგები, ასე ღირსეულნი თითქოს მეც სიკეთესა და ღირსებას მინაწილებენ.

მათ მოგონებას ხსოვნის დღე არა სჭირდება. ცოდვაა ამ დღის ამარა მათი დატოვება.

მაგრამ აპრილმა გრძნობების გამძაფრება იცის. ალბათ ამიტომაც უფრო მეტად გვახსენებენ თავს „მწუხარე ხომალდის" ბინადარნი, უფრო მკვეთრად წარმოსდგებიან ცოცხალთა წინაშე.

ეს ერთი ხანია უცნაურად ჩაეწნა და ჩაეხლართა ერთმანეთს ჩემი საპრილო ფიქრები და განცდები.

ახლოს ხსოვნის დღეები და იქვე — 29 აპრილი, დამანგრეველი მიწისძვრა, რომელმაც ზემო იმერეთის, შიდა ქართლისა და რაჭის მრავალ დასახლებასთან ერთად მიწასთან გაასწორა ჩემი ცხმორი — ზემო რაჭის ერთი ძვირფასი სამკაული, თვალი პატიოსანი, მაღალი ზეცით, ნაძვნარში ჩამჯდარი ვრცელი თუ ხელისგულისოდენა მწვანე ხავერდებით, მაცოცხლებელი ცივი წყაროებით თუ უკვდავების წამლად შემრგე მჟავე წყლებით, ჩვენი წმინდა სალოცავებით — ფიცართით, ქოლოსით...

ერთი წელიწადი გასულა იმ საშინელი ქვესკნელის აბორგების შემდეგ. მშენებლებმა ხელი არ დააკლეს სოფელს და ამიტომაც ისევ ფეთქავს იქ სიცოცხლის ნერვი, ისევ ილანდება არსებობის ნიშანწყალი... მალე მშენებლები ისევ დაუბრუნდებიან სოფელს, გრძელი და მკაცრი ზამთრის გამო მიტოვებულ წმინდა საქმეს ისევ დაატყობენ მადლიან ხელს.

ჩემი სახლიც ელის ამ ხელს. შარშან მშენებლებმა დანგრეულ კედლებზე დამხობილ სახურავს მთლად დაშლის საშუალება არ მისცეს, აზიდეს, გაამაგრეს, იქაურობა გაწმინდეს და ჭერქვეშ მომავლის იმედი ჩაასახლეს.

წლევანდელი ხსოვნის დღეებში ჩემი ფიქრები იმედჩასახლებული იმ დანგრეული სახლის ფონზე საოცარი კადრებივით ჩამივლის თვალწინ...

რამდენჯერ იძრა მიწა ამ პატარა სახლის შემოგარენში! რამდენჯერ დაცემამდე შეატორტმანა მისი მკვიდრნი — ოჯახის უწმინდესი მამანი და უსათნოესი დიასახლისები, მათი ნაშიერნი, — სახიერი და გონიერი ბრგე ვაჟკაცები, ლამაზი და სოფლის გამკითხავი ქალ-რძალნი.

ამ საუკუნის დამდეგს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლებს შეერთებია ამ ოჯახის შვილი **ვალოდია კობერიძე.** ალიხანოვის დამსჯელ რაზმს ცეცხლითა და მახვილით დაურბევია რაჭა-ლეჩხუმში არაკეთილსაიმედო ოჯახების სახლ-კარი. დასაწვავ-დასარბევთა სიაში კობერიძეების ოჯახიც მოხვედრილა, ის პატარა სახლი, ახლა რომ გადარჩენის იმედი შეუფარებია. ამბობენ, დამსჯელი რაზმი ონში იყო დაბანაკებული და გზის გაშრობას უცდიდაო. მაგრამ გზები კი არ გამშრალა, უარესად დამეწყრილა, ამასობაში ალიხანოვი ქუთაისს გამგზავრებულა და ასე გადარჩენილა დასარბევი სოფლები.

ამ მომენტს ახლა მიწისძვრის ბიძგებად აღვიქვამ მე — ვალოდია კობერიძის შთამომავალი. ეს ბიძგები თანდათანობით კი არ შენელდა, პირიქით, გაძლიერდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ თავისუფლების მოტრფიალე ვაჟკაცს საქართველოში აღარ ედგომებოდა. როგორც დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო დაცვის მონაწილის არისტო იაშვილის მოგონებებშია აღწერილი, მას და მის მეგობრებს ვალოდია კობერიძე ბათუმიდან გემით საფრანგეთში გაუპარებიათ. იგი ერთხანს პარიზში ცხოვრობდა, შემდეგ ირანში. ვიცით, რომ კინომრეწველი გახდა, პარიზის საპატიო მოქალაქეობაც დაუმსახურებია. ყოფილა დიდი შემწე და ქომაგი საფრანგეთსა თუ ირანში ჩასული ყველა ქართველისა.

ერთადერთხელ ჩამოსულა უკვე თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში.

მერე ისეთი დღეები დაუდგა საქართველოს, იმ პატარა სახლსაც, ცხმორში დიდი ოჯახის კერად რომ იწოდებოდა, იმდენჯერ დაეცა მეხი და იმდენჯერ შეერყა მიწა ფეხქვეშ, რომ ოჯახს ვალოდიას სახელის ხსენებაც კი ეკრძალებოდა.

ამ სახლის მკვიდრთათვის, ალბათ, ერთხელ მაშინაც „იძრა მიწა", როცა სოფლის ეკლესია დაანგრიეს და ჩემი დიდი პაპა — სოფლის მოძღვარი **იოსებ კობერიძე**, რომელიც ეკლესიაში იყო დაკრძალული, ეზოში გადაასვენეს.

მიწისძვრები მერე დაიწყო თუ დაიწყო!

1937 წელს ჯერ ბიძაჩემი — ვასო კობერიძე დააპატიმრეს როგორც ხალხის მტერი, მერე მამაჩემი — **აკაკი კობერიძე.** ვასო ონის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, მერე შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი იყო, აკაკი — რაიონის მთავარი ვეტექიმი. მერე ამ ეზოდან, სადაც თურმე „ქვაც კი ტროცკისტი იყო", რძალიც ქმარ-მაზლის კვალს გააყოლეს. მას — კოლმეურნეობის ბუღალტერს თურმე საიდუმლო მიმოწერა ჰქონდა საზღვარგარეთ მყოფ მაზლთან (რომელიც საერთოდ არასოდეს უნახავს) და გერმანიის მიერ ომის დაწყება ნაწილობრივ მაინც მათი ჩანაფიქრი ყოფილა.

რას არ მოიგონებს ადამიანის ფანტაზია!

ვასო ბიძია სამეულის გადაწყვეტილებით თბილისშივე დახვრიტეს. მამაჩემს კი ბედმა გაუღიმა. მან ათწლიან ჯოჯოხეთს გაუძლო და სიცოცხლის ბოლო წლებში ისევ იგემა ოჯახური სითბო.

ახლა იგი ავჭალის სასაფლაოზე განისვენებს. მარმარილოს დაფაზე აღბეჭდილი მისი კეთილი ღიმილი შიგ სულში მეღვრება. მისი სურათის გვერდით ისეთივე დაფაზე ვალოდია ბიძიას სურათია ამოქვეთილი. მოხდენილი, კეთილშობილი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი იმზირება ამ სურათიდან.

დასაკარგავად ვერ გავიმეტეთ. სიმბოლური საფლავი ძმის გვერდით დავუმკვიდრეთ.

კიდევ ერთი სიმბოლური საფლავი... ვასო ბიძიაც აქ „დავასახლეთ" თავისი ცოლის — ჩემი ტანჯული საშა ბიცოლას გვერდით.

ხსოვნის დღე...

სასაფლაოსკენ მიემართება დიდი და პატარა.

წინ მცირე აღმართი გვაქვს ასავლელი. მინდა ხელი მივაშველო ჩემს ოთხმოცდაოთხი წლის დედას, იმ ქალს, თავისი ქმარ-მაზლის გზას გაუყენეს-მეთქი ზემოთ რომ გითხარით.

იგი ხელის შეშველების საშუალებას არ მაძლევს. მიდის გამართული, თავაწეული, თავის ფიქრებს მიყურადებული.

რაზე ფიქრობს ნეტავ? იმაზე ხომ არა, საპატიმროდან ბერიას რომ მისწერა, ხუთი წელი მაჭეს მისჯილი, სამი მაკმარეთ, მაპატიეთ, გამიშვით, პატარა შვილები უპატრონოდ მყავს მიტოვებულიო?...

ნეტავ რის პატიებას ითხოვდა დედა?

...ხუთი როგორ აკმარეთო, მოუწერიათ თურმე, ერთი მაგდენი კიდევ დაუმატეთო!...

რამდენ საშინელებას ინახავს ხსოვნა!...

პრესკონფერენცია

მძიმე მემკვიდრეობა

ახლახან საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში გაიმართა სამინისტროს ხელმძღვანელობისა და დარგობრივი სამსახურების წარმომადგენლების შეხვედრა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თანამშრომლებთან. შეხვედრის მიზანი იყო აღნიშნული სამინისტროს საქმიანობის ობიექტურად გაშუქება პრესასა თუ რადიო-ტელევიზიაში.

შეხვედრას უძღვებოდა ჟურნალ „მედიცინის" მთავარი რედაქტორი ჯანგირ მამალაძე. საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის მდივნის აკაკი სიხარულიძის შესავალი სიტყვის შემდეგ ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ირაკლი მეგრელაძემ ჟურნალისტებს გააცნო ამ სფეროს პრობლემები. მან აღნიშნა, რომ სამინისტრომ მიიღო მძიმე მემკვიდრეობა, მიმდინარეობს აქამდე არსებული სამედიცინო მომსახურების უფასო სისტემის გადახალისება. ბატონი ირაკლი არ გამორიცხავს, რომ მომავალში იარსებებს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სამედიცინო სტრუქტურები.

წამალთმომარაგების საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა ცხარე კამათი. ჟურნალისტთა გამოსვლებში აშკარად გამოიკვეთა ის აზრი, რომ სააფთიაქო სამმართველო მხოლოდ და მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებით უნდა ფუნქციონირებდეს. აქვე ხაზი გაესვა ჰუმანიტარული დახმარების სასიკეთო შედეგებს საქართველოში. მინისტრმა აღნიშნა, რომ ამგვარი ოპერაციები არ არის მუდმივი და საჭიროა საქართველოში შეიქმნას უცხოური ფირმების ფილიალები წამლების დასამზადებლად.

დიდი სიძნელეებია რესპუბლიკის სამედიცინო აპარატურით მომარაგების სფეროში. ეს პრობლემაც უკავშირდება საქართველოში ფულის ნიშნის უქონლობას და საერთოდ ეკონომიკურ კრიზისს. ამის გამო ჯანდაცვის სამინისტრო იძულებულია რესპუბლიკაში შემოიტანოს არა დიაგნოსტიკური, არამედ მხოლოდ სამკურნალო დანიშნულების მედტექნიკა.

ჟურნალისტებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ კომერციულ მაღაზიებში განუკითხავად იყიდება მედიკამენტები და ბავშვთა საზრდო. ამის თაობაზე ირ. მეგრელაძემ განაცხადა, რომ კომერციულ მაღაზიებში დასაშვებია მედიკამენტებით ვაჭრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პროცესს აკონტროლებს სპეციალისტ-ფარმაკოლოგი და ისიც ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, სხვაგვარი მოქმედება კანონსაწინააღმდეგოა.

ეკა ტალახაძე.

პარტიებსა და მოძრაობებში

ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს...

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 75 წლისაა

წელს ივნისში 75 წელი შეუსრულდება საქართველოს უძველეს პოლიტიკურ ორგანიზაციას — ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას.

ეროვნულ-დემოკრატთა პირველი ჯგუფი 1906 წელს წარმოიქმნა სოციალ-ფედერალისტური პარტიის წიაღში, ხოლო 1912-14 წლებში ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურმა მოღვაწეებმა დაიწყეს თბილისში ჟურნალ „კლდისა" და ქუთაისში გაზეთ „იმერეთის" გამოცემა. მხოლოდ 1917 წელს მოხერხდა პარტიის ჩამოყალიბება და დამფუძნებელი ყრილობის გამართვა ამავე წლის 4-20 ივნისს. ამრიგად, 1917 წელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაბადების წელია.

ემიგრაციაში მყოფი ალექსანდრე ასათიანი 1937 წელს, პარტიის დაარსების 20 წლისთავზე აღნიშნავდა:

„ამ ზაფხულის დამდეგს მრავალი ქართველი მოიგონებს 1917 წლის თიბათვეს, როდესაც ჩვენს დედაქალაქში შეიკრიბა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობა...

მოიგონებენ ციხის საკნებში დამწყვდეულნი, მოიგონებენ გარეთ მყოფნი, მრავალჯერ შეპყრობილნი, განთავისუფლებულნი და მუდამ ახალ დაპატიმრების მომლოდინენი...

ოცი წლის წინათ განვლილ ამ დღეებს მოიგონებენ ცივს ციმბირსა და სოლოვკაში გადაკარგული ქართველი მამულიშვილნი და მრავალნი მშობელ მიწა-წყალს მოწყვეტილნი და უცხო ქვეყნებში გაფანტულნი ემიგრანტები"...

1924 წლის ეროვნული აჯანყების მარცხის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, ფაქტობრივად, შეწყვიტა არსებობა და ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჯგუფებმა ემიგრაციაში გააგრძელეს მოღვაწეობა.

1981 წელს იატაკქვეშეთში მოხდა პარტიის რესტავრირება. აღდგენილი პარტიის დამფუძნებელი კრება 1983 წლის თებერვალში გაიმართა, არჩეულ იქნა მთავარი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: გიორგი ჭანტურია, მამუკა გიორგაძე, ირაკლი ქადაგიშვილი, ავთანდილ ანთიძე და ბესარიონ გუბელაძე.

თუ 1981 წელს მხოლოდ 40 ენთუზიასტი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, 1983 წელს პარტია უკვე ორასამდე კაცს აერთიანებდა. 81-87 წლებში პარტია „მოლეკულური" პრინციპით იყო აგებული და იყოფოდა ხუთეულებად. ხუთეულებს ერთმანეთთან კავშირი მხოლოდ მამუკა გიორგაძის საშუალებით ჰქონდათ. იმ პერიოდში, პარტიის საქმიანობა, ძირითადად, პროკლამაციების გავრცელებით ამოიწურებოდა, თუმცა, ხელსაყრელ პირობებში, არც ანტისამთავრობო მიტინგებსა და დემონსტრაციებზე ამბობდა უარს.

1983 წლის ივნისში გამართულ დემონსტრაციას შედეგად მოჰყვა გიორგი ჭანტურიას დაპატიმრება და რუსეთის კოლონიაში გაგზავნა, მამუკა გიორგაძისა და ავთანდილ ანთიძის მილიციის ძალით ჯარში ეტაპირება.

1988 წელს პარტია გამოვიდა იატაკქვეშეთიდან და კომუნისტებს „აჩუქა" დაუვიწყარი ნოემბერი, 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ სამი ეროვნულ-დემოკრატი დააპატიმრეს, ხოლო გამსახურდიას დიქტატურის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისათვის გიორგი ჭანტურია და მამუკა გიორგაძე კვლავაც ციხეში მოხვდნენ. ეროვნულ-დემოკრატები ყოველთვის პოლიტიკური ბრძოლის წინა ხაზზე იყვნენ და მათი ზურგი არც ადრე, არც ახლა არავის უხილავს.

დღეს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ძლიერი, დასავლური ტიპის გავლენიანი პარტიაა, რომლის რეგიონული ორგანიზაციები მოქმედებენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

რწმენისა და დედაეკლესიასთან დამოკიდებულების საკითხში გიორგი მთაწმინდელივით ვაცხადებთ:

„...ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარგვიყოფიეს. და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი... ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ..."

არც საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში განგვიცდია ტრანსფორმაცია: უარი რუსეთთან განსაკუთრებულ კავშირებს! უარი ყოველგვარ კონფედერაციასა თუ თანამეგობრობას! დასავლეთისკენ — რუსეთის გაუვლელად!

75 წლის შემდეგ უფრო თამამად შეგვიძლია ალექსანდრე ასათიანის შესანიშნავი სიტყვების გამეორება:

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ „გაამჟღავნა ქართველი ერის სახელმწიფოებრივ თვისებათა ძალა და ცხოველმყოფელობა, ქართველი ერის გამძლეობა და გაუტეხავი სიმტკიცე, და მით შექმნა განთავისუფლებულ საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის საიმედო ფუძე და დასაყრდენი".

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის 75 წლისთავთან დაკავშირებით პარტიის მთავარმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ამა წლის ივნისში გაიმართოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეხუთე, საზეიმო ყრილობა (ამა წლის მაისის დამდეგს კი გაიმართება პარტიის მორიგი კონფერენცია).

ვანო ხუხუნაიშვილი,
ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრის ხელმძღვანელი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გენშერი გადადგომას აპირებს

გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი პრაღას ეწვია, სადაც ჩეხეთ-სლოვაკეთის მაღალი თანამდებობის პირებთან ყარაბაღსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას გააანალიზებს.

უფრო ადრე გენშერმა გერმანიის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ აპირებს საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრის პოსტიდან გადადგომას. ამის თაობაზე მან უკვე გააფრთხილა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა და კანცლერი ჰელმუტ კოლი. 65 წლის გენშერი 18 წლიწადს ხელმძღვანელობდა გერმანიის საგარეო საქმეთა უწყებას. მას დიდი როლი აქვს შესრულებული დასავლეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის კონსტრუქციული დიალოგის გამართვაში, განიარაღების პროცესის დაწყებაში, გერმანიის გაერთიანებაში. გენშერი ცნობილი იყო როგორც მიხეილ გორბაჩოვის პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი. გენშერს გული აწუხებს და გადადგომის მიზეზად სწორედ ამას ასახელებენ. მალე იგი საავადმყოფოში დაწვება. იგი კვლავ დარჩება გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატად. ჰანს დიტრიხ გენშერი თავის ერთ-ერთ ბოლო პოლიტიკურ ვიზიტად საქართველოში იყო, სადაც ედუარდ შევარდნაძის მოწვევით ჩამოვიდა. ამ ვიზიტის დროს დამყარდა გერმანია-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა.

როგორც ამტკიცებენ

რადიოსადგური „თავისუფლება": „მოსკოვის რადიოს" მტკიცება, თითქოს სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოს ხელისუფლებისთვის მოულოდნელი ყოფილიყოს არ არის მართალი. შევარდნაძე საქმის კურსში იყო, ამავე დროს, რაც იგი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ჩაუდგა სათავეში, თბილისისა და მოსკოვის ურთიერთობა თვისებრივად გაუმჯობესდა, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ ოსეთის გვარდია და საქართველოს შეიარაღებული ძალები მორიგდებიან. რუსეთის ჯარების სამხრეთ ოსეთიდან გაყვანა რეგიონში მშვიდობის დამყარების საფუძველი უნდა გახდეს. მდგომარეობა ისევ ჩიხში მოექცევა, თუ ოსები კვლავ მოითხოვენ სამხრეთ ოსეთის ჩრდილო ოსეთთან შეერთებას, ან პირიქით, თუ საქართველოს მხარე შეეცდება გააუქმოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიის ყველა ფორმა. რადიოსადგურის აზრით, გამოცდილი დიპლომატი ედუარდ შევარდნაძე, ალბათ, სწორ გზას გამონახავს. „თავისუფლება" ხაზს უსვამს, რომ „ნეზავისიმაია გაზეტაში" გამოქვეყნდა ოსი ინტელიგენციის ნაწილის პოზიცია, სადაც აღნიშნულია, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილია. ეს ფაქტი რადიოსადგურმა დადებით მომენტად შეაფასა.

სავარაუდო კლიენტები

როგორც რადიოსადგური „თავისუფლება" იუწყება, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის 14 რესპუბლიკას, მათ შორის ბალტიისპირეთის სამ რესპუბლიკას, უკვე ივნისში შეუძლიათ 40 მილიარდი დოლარის სესხის მიღება. 14 რესპუბლიკა მალე გახდება მსოფლიო ბანკის კლიენტი. ამის გაკეთება ჯერჯერობით მხოლოდ თურქმენეთსა და აზერბაიჯანს არ შეუძლიათ, რომლებმაც განაცხადი გვიან გაგზავნეს. მსოფლიო ბანკის წევრებად გახდომასთან დაკავშირებით შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა ბრეიდიმ განაცხადა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ფინანსურ დახმარებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ ისინი ეკონომიკური რეფორმების კურსს განაგრძობენ.

ვულკანი ბობოქრობს

რომი. „ეტნა შეტევაზე გადადის", „ცეცხლოვანი ნაკადი ყველაფერს წალეკვით ემუქრება", „მეცნიერება და ჯარისკაცები უძლურნი არიან ვულკანის წინაშე" — ასეთი სათაურებით აუწყებენ მკითხველს იტალიის გაზეთები, რომ ძაფერანის დასახლებული პუნქტის ხსნის ცდებს ჯერ ვერ გამოუღია სასურველი ნაყოფი. სიცილიის ვულკანი, რომლის ამოფრქვევა გასული წლის დეკემბრის შუა რიცხვებში დაიწყო, კვლავ ბობოქრობს და ზედაპირზე აფრქვევს ათასობით კუბურ მეტრ გავარვარებულ მასას 50 კილომეტრი სიღრმის ქვესკნელიდან.

ლავამ ადრე მიაღწია ვენახებს ძაფერანის ახლოს. ერთ-ერთმა ნაკადმა გადალახა უკანასკნელი მიწაყრილი, ამ სოფელს რომ ჰქონდა გარს შემოვლებული, და ნელა მიიწევს საცხოვრებელი სახლებისკენ. რამდენიმე დღის შემდეგ ლავამ უკვე შთანთქა განაპირას მდგომი პირველი სახლი. ცეცხლოვანი მდინარის ნაპირას მცხოვრებლებმა რამდენიმე დღე ლოცვაში გაატარეს და დაჩოქილები შესთხოვდნენ უფალს განსაცდელი აეცილებინა მათთვის.

როგორც გაზეთი „კორიერე დელა სერა" იუწყება, უკვე მზად არის ძაფერანის მცხოვრებთა ევაკუაციის გეგმა, მაგრამ ხელისუფალთ ჯერ არ დაუკარგავთ ვულკანის დაოკების იმედი.

ელექტრონული ფოსტა "Relcom"-ი - მსოფლიო ტელეკომუნიკაციური სისტემის ნაწილია!

"Relcom"-ის რეგიონალური კვანძი - მრავალდარგოვანი

ფირმა

"ომეგა"

ინფორმაციული ურთიერთობის ახალი დონეა საქართველოში!

ელექტრონული ფოსტა ეს არის:

- სისწრაფე, მოხერხებულობა და საშუალება ტექსტობრივი, ფორმალიზებული, გრაფიკული ინფორმაციების გადაცემისა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში;
- საჭირო საარქივო მასალებთან მუშაობის საშუალება;
- საბირჟო, კომერციული და სამეცნიერო ინფორმაციის ოპერატიული მიღება;
- მონაწილეობა ტელეკონფერენციებში.

ელექტრონული ფოსტის შესაძლებლობები აღემატება კავშირგაბმულობის ნებისმიერ საშუალებას.

კომპიუტერი, მოდემი და "Relcom"-ის ქსელში ჩართვა გაგათავისუფლებთ ფაქსების, ტელექსების და ტელეფონების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემებისაგან.

ჩვენ დაგეხმარებით გახდეთ "Relcom"-ის აბონენტი, რომელიც გადის საერთაშორისო გლობალურ ქსელებზე EUnet, Internet, UUnet, BITNET, CompuServe, MCImail და სხვა.

საქართველოს მეწარმეებისთვის "Relcom"-ი გახდება მსოფლიო ბაზარზე ურთიერთობის აქტიური საშუალება. ბიზნესმენები შეძლებენ მიიღონ ოპერატიული ინფორმაცია კომერციული ქსელიდან, რომელიც აერთიანებს რამდენიმე ათეულ ვაჭრობის ცენტრსა და ათასობით აბონენტს "სნგ"-ს და საქართველოს ტერიტორიაზე.

ელექტრონული ფოსტით ტექსტის ერთი გვერდის გადაგზავნის ღირებულება გაცილებით იაფია, ვიდრე ფაქსით.

"Relcom"-ის ქსელის მომსახურების საფასურის გადახდა, საერთაშორისო კავშირების ჩათვლით, წარმოებს მანეთებში.

თქვენი კომპიუტერი - მსოფლიოსთან ურთიერთობის უნიკალური საშუალებაა!

ფირმა "ომეგა" მზად არის:

- დადოს ხელშეკრულებები ელექტრონული ფოსტით აბონენტთა მომსახურებაზე;
- გაუწიოს თავის აბონენტებს უფასო კონსულტაციები;
- მოემსახუროს პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ კომპიუტერები;
- "Relcom"-ის ქსელის აბონენტები უზრუნველყოს აქტუალური ცნობარით-კლასიფიკატორით.

ქსელი "RELCOM"-ი ღია კარია კომპიუტერული კომუნიკაციის სამყაროში!

ჩვენი მისამართია: 380056, ქ.თბილისი,
გრ.რობაქიძის პროსპექტი, III კვარტალი, V კორპუსი
ტელეფონი: 51-89-72

მრავალდარგოვანი ფირმა "ომეგა"
სარეკლამო სააგენტო "მი-მი-ნო".

ამაოდ დაშვრა კულუმბეგოვი

კლარა აბრამია

ვინც კი თვალს ადევნებდა რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატთა მეექვსე ყრილობას, დამეთანხმება, რომ ფორუმი სრული გამოხატულება გახლდათ იმ ეკონომიკური ქაოსისა და პოლიტიკური ინტრიგებისა, რომლებიც დამკვიდრდა ჩვენს მეზობელ ქვეყანაში. ყრილობის პირველმა დღემ ნათლად დაგვანახა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს უსახურობა, მისი არაკომპეტენტურობა. 13 ფრაქცია ებრძოდა ერთმანეთს არა იმიტომ, რომ აწუხებდათ ჩიხში მოქცეული რუსეთის სატკივარი, — ყველას ამბიციური ფსიქოზი ღრღნიდა, ყველა მათგანი საკუთარი ინტერესებისთვის მოქმედებდა. როცა კონსერვატიულად განწყობილმა ჯგუფმა ვერ მიაღწია მთავრობის გადადგომას, როცა გაიდარისა და მისი „გუნდის" სცენარი უფრო ჭკვიანური და ეშმაკური გამოდგა, ვინემ ოპონენტებისა, ბორის ელცინისადმი მტრულად განწყობილმა პარლამენტმა მისი სპიკერის — რუსლან ხაზბულატოვის დიდი მეცადინეობით, ცაიტნოტში ჩააგდო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი და მისი მთავრობა — მხოლოდ სამი თვე მისცა მათ ეკონომიკური რეფორმისთვის. ასე და ამრიგად, ელცინელთა და ხაზბულატოველთა ბრძოლა დამთავრდა ფრედ — ერთით ერთი, შემოდგომაზე ბრძოლა განახლდება. ყრილობის მსვლელობა ტელევიზიამ და პრესამ იმდენად ფართოდ გააშუქა, რომ აღარ ღირს ამაზე დეტალურად საუბარი, მაგრამ ის, რაც ეკრანის მიღმა ხდებოდა, ალბათ, არანაკლებ საინტერესოა. კულუარებში ვრცელდებოდა ქსეროქსზე გადაღებული სხვადასხვა ზომისა და ხასიათის მიმართვები, დეკლარაციები, განცხადებები, თხოვნები, ახსნა-განმარტებები, მოწოდებები. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ე. წ. სამხრეთ ოსეთის უზენაესი საბჭოს მიმართვამ, რომელშიც გაყალბებული იყო ცნობილი ისტორიული რეალობები.

რამდენიმე დღის წინ ტორეზ კულუმბეგოვმა რუსეთის ფედერაციის VI ყრილობის ტრიბუნიდან წაიკითხა ეს მიმართვა და ზოგი რამ წაუმატა კიდეც. დარბაზში მსხდომთა ერთმა ჯგუფმა ტაშიც კი დაუკრა მის პროვოკაციულ განცხადებას. როცა კულუმბეგოვი ფოიეში გამოჩნდა, ჟურნალისტების დიდი ჯგუფი გადაუდგა და სთხოვა ბლიც-ინტერვიუ, მან კატეგორიული უარი განაცხადა — მიხვდა, მის ავანტიურას ყავლი ჰქონდა გასული! „სამხრეთოსური" მიმართვის პასუხად ორი დღით ადრე ქართული პრესის წარმომადგენლებმა მოსკოვში ყრილობის პრეს-ცენტრში გავავრცელეთ გაზეთ „რესპუბლიკაში" გალინა სტაროვოიტოვას პროვოკაციულ გამოსვლასთან დაკავშირებით დაბეჭდილი სოლომონ ლეკიშვილის პასუხის რუსული ვარიანტი. („რესპუბლიკა" 11 მარტი, 1992 წ.).

ასე რომ, პრალამენტის ჟურნალისტთა უმრავლესობისთვის კულუმბეგოვის გამოსვლა კიდევ ერთი სიცრუე იყო. და არა მარტო ჟურნალისტებისთვის. აი, რა გვითხრეს რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატებმა.

ოლეგ ბასილაშვილი: კულუმბეგოვის განცხადებას არავითარი საფუძველი არა აქვს, არ სჭირდება მტკიცება საქვეყნოდ ცნობილსა და აღიარებულს: სამხრეთ ოსეთი შიდა ქართლია, — უძველესი ქართული მიწა-წყალი, და ვერავინ ვერ ახლებს ხელს, მაგრამ გაუთავებელი სისხლისღვრა იმ მხარეში სახელს გვიტეხს ქართველებს. კარგად ვიცი, ყველაფერი ზვიად გამსახურდიას პოლიტიკის შედეგია, მაგრამ წერტილი ხომ უნდა დაესვას! დიდი იმედი მაქვს ბატონი ედუარდ შევარდნაძისა. ვფიქრობ, ქართველთა და ოსთა დავა მალე დამთავრდება.

ვლადიმერ ლისენკო: ვეერთდები ბატონ ოლეგის ნათქვამს. ვიყავი ცხინვალში, თბილისშიც, როცა ზვიად გამსახურდია მართავდა თუ აქცევდა თქვენს რესპუბლიკას. ენით უთქმელი ტრაგედია ვნახე ოსეთში. მადლობა ღმერთს, წავიდა გამსახურდიას ხანა, ახლა კი ქართველებმა უპირველეს ამოცანად სამხრეთ ოსეთში ვითარების მოგვარება უნდა გაიხადონ. რაც შეეხება კულუმბეგოვისა და მისი ამალის პრეტენზიებს, რა თქმა უნდა, უსაფუძვლოა. რუსეთს არა აქვს უფლება საქართველოს ტერიტორიულ საქმეებში ჩაერიოს. ამ აზრს იზიარებს ჯანსაღად მოაზროვნე ყველა დეპუტატი.

მოსკოვი.

უნივერსიტეტის ყველა გულშემატკივარს

ეს წერილი ძირითადად მიმართულია სამინისტროებისა და უწყებების, კონცერნებისა და ბანკების, მსხვილი ფაბრიკა-ქარხნებისა და მეურნეობების ხელმძღვანელების და ბიზნესმენებისადმი, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისადმი, რომლებსაც თვითონ უსწავლიათ, რომელთა მშობლებსაც აქ მიუღიათ განათლება, შვილები კი ახლა ეუფლებიან ცოდნას... საერთოდ, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს უმაღლესი განათლების უმნიშვნელოვანესი კერის — თბილისის უნივერსიტეტის სახელი.

დღეს განსაკუთრებით უჭირს საქართველოს, უჭირს პოლიტიკურად და ეკონომიურადაც. რთული მდგომარეობაა უნივერსიტეტშიც. უსახსრობა აფერხებს მატერიალური ბაზის მოწესრიგება-განვითარებას, შეჩერებულია სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები. ყოველივე ეს თავის დაღს აჩნევს სასწავლო პროცესსაც. ამიტომ გადაუდებელი საჭიროებაა გადაიდგას კარდინალური ნაბიჯები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სწორედ ამ საქმეში გვინდა, ძვირფასო მეგობრებო, თქვენი დახმარება, დახმარება მატერიალური. მინდა მოგაგონოთ, რომ თავის დროზე, ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში, დიდი გულისყურით გამოეხმაურა შეძლებული ქართველობა ამ უდიდესი ეროვნული ტაძრისთვის დახმარების გაწევის თაობაზე უნივერსიტეტის მესვეურთა მიმართვას. რეალურმა ხელის გამართვამ წინ წასწია უნივერსიტეტი. ვფიქრობთ, ასე იქნება დღესაც.

ჩვენის მხრივ, ვფიქრობთ, უახლოეს ხანს შეიქმნას თბილისის უნივერსიტეტის მზრუნველთა საბჭო შესაბამისი უფლება-მოვალეობებით, რომელშიც შევლენ ისინი, ვინც უშუალო წვლილი შეიტანა უნივერსიტეტის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ყველა მათგანის სახელი უკვდავყოფილი იქნება უნივერსიტეტის ისტორიაში. მზრუნველთა საბჭოს მოხსენდება შემოსული თანხის განაწილების შესახებ.

ძვირფასო მეგობრებო! თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმად დარწმუნებულია, რომ აქტიურად გამოეხმაურებით ამ მოწოდებას.

წინასწარ გიხდით მადლობას.

როინ მეტრეველი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბანკო რეკვიზიტებია: თბილისი, 380028, ილია ჭავჭავაძის პროსპექტი, 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ბანკი — საქართველოს სოციალური განვითარების სააქციო-კომერციული ბანკის საოპერაციო სამმართველო.
ანგარიშსწორების ანგარიში № 000141926.
კოდი (МФО) 521017.

ვერნისაჟი

საგაზაფხულო ფერები

ჩვენს დედაქალაქში ცხოვრება თითქმის თავის კალაპოტს უბრუნდება, თეატრები, საგამოფენო დარბაზები ძველებურად იზიდავს ხალხს.

ასეა აქაც — ქარვასლაში, თბილისის ისტორიული მუზეუმის ვრცელ დარბაზში, სადაც ახალგაზრდა მხატვრებმა თავიანთი ტრადიციული საგაზაფხულო გამოფენა გამართეს. რასაკვირველია, ეს ვერნისაჟი წინა წლებისას ვერ შეედრება — აღარ არსებობს „მხატვრის სახლი“, აღარც გამოფენაა რესპუბლიკური, მაგრამ მისმა ორგანიზატორებმა — საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის კულტურის განყოფილებამ და გაერთიანება „პროფცინოვიდეოს“ შემოქმედებითი სახვითი ხელოვნების ასოციაცია „ფენიქსმა“ ყველაფერი იღონეს, რათა ექსპოზიცია საინტერესო და მრავალფეროვანი ყოფილიყო და, ჩვენი აზრით, მიზანსაც მიაღწიეს.

მაგალითად, გამოფენის დამთვალიერებელს შეუძლია მისთვის სასურველი ნამუშევარი შეიძინოს. შემოსული თანხა — გაყიდული ნამუშევარის ოცი პროცენტი ასოციაციის წევრების აზრით, ხელს შეუწყობს მათი ჩანაფიქრის განხორციელებას — შეხვედრებს მხატვრებთან, ხელმოკლე კოლეგების დახმარებას და სხვა.

წლევანდელი ექსპოზიციის გამართვას დიდი ღვაწლი დასდეს ასოციაციის წევრებმა, მხატვრებმა — მიხეილ მახარაძემ, თეა ბოტკოველმა, ზურაბ თოთიბაძემ, დავით ალექსიძემ. თვით იდეა ამ გამოფენისა ქალბატონ სემიდა ჭმუხაძეს ეკუთვნის, რომელმაც გახსნა ექსპოზიცია და მისასალმებელი სიტყვით მიმართა ვერნისაჟზე შეკრებილ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

ახალგაზრდა მხატვრებს ეს საზეიმო დღე მიულოცეს ჩვენმა სასიქადულო კომპოზიტორმა ალექსი მაჭავარიანმა, ცნობილმა მხატვარმა ნანა ბოტკოველმა, საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის კულტურის განყოფილების გამგემ სიმონ ხოშტარიამ.

ერთი სიამოვნებაა ამ ექსპოზიციის გაცნობა. აქ ძირითადად ნახავთ ახალგაზრდა მხატვრების მიერ შესანიშნავად შესრულებულ ფერწერულ, გრაფიკულ, თიხასა და ლითონში გამოძერწილ ნაწარმოებებს, ავანგარდისტთა ნამუშევრებს, უფროსი თაობაც ღირსეულად არის წარმოდგენილი, თუმცა, სჯობს გამოფენა თავად დაათვალიეროთ და თქვენვე შეაფასოთ.

ლ. ლალიაშვილი.

სურათზე: კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი „ქარვასლაში“ საგაზაფხულო გამოფენის გახსნაზე.

ოთარ სახოკიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩვენი სიმდიდრე

ვაკიჯვრის კალმახი

ზებლარ ჩხაიძე

ვაკიჯვარი ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია ოზურგეთის რაიონში, იგი ბახმაროს მომიჯნავე ბუმბერაზი მთების ძირშია გაშენებული — მდინარე ნატანების ხეობაში. მოსახლეობა ძირითადად განლაგებულია ამ ანკარა მდინარის მარჯვენა სანაპიროზე. ასე რომ, ეს მართლაც და კურორტი-სოფელი, წელიწადის ყოველ დროს დიდებული სანახავია.

რაკი გურიაში ცნობილი მდინარე ნატანები ვახსენეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მის წყალუხვობას დიდად უწყობს ხელს შენაკადები — „ბუეკი“, „აჭის წყალი“, „სკურდუმი“, არის მისი კიდევ ერთი შენაკადი, რომელსაც ვაკიჯვრელები „საკალმახის ღელეს“ ეძახიან. სწორედ ამ ცივზე-ცივი მდინარის შესართავთან — სოფლის გულშემატკივრებმა ამ რამდენიმე წლის წინათ საკალმახე მეურნეობის გამართვა გადაწყვიტეს. მალე მდინარის სანაპირო რკინა-ბეტონის ვეებერთელა აუზებმა დაამშვენეს, იქვე დაიდგა თევზის მოშენება-გამრავლებისათვის საჭირო მოწყობილობანი.

მალე მწყობრში ჩადგა კოოპერატივი „ცისარტყელა-50“-ის საკალმახე მეურნეობა, რომელიც ტონობით კალმახს აწვდის რაიონის მოსახლეობას. მეურნეობამ მალე გაითქვა სახელი რაიონის ფარგლებს გარეთაც.

ამ კარგ საქმეს სათავეში ჩაუდგა სოფლის მკვიდრი, კარგი ორგანიზატორი აგია მდინარაძე, მან შემოიკრიბა ორმოცდაათამდე ამ საქმით დაინტერესებული თანასოფლელი და მუყაითობით წარმატებებსაც მიაღწია.

საზრიანი კოოპერატორები ამჟამად აქ მარტო თევზს როდი აწარმოებენ, მეცხოველეობის ჩინებული ფერმა შექმნეს, მეღორეობაშიაც ბადალი არ ჰყავთ, დიდძალი ფრინველიც მოაშენეს. და აი 1990 წელთან შედარებით შარშან 200 ათასი მანეთი მოიგეს. მაინც ძირითადად რა სიკეთე მოუტანა მოსახლეობას ამ საწარმოო კოოპერატივმაო, იკითხავს კაცი? ფაქტებისათვის შორს არ წავალთ: შარშან მოსახლეობას მიჰყიდეს 50 ტონაზე მეტი რძე და რძის პროდუქტები, 25 ტონა თევზი, 5 ტონა ხორცი, 35 ათასი ფრთა ქათამი.

ფასს არ იკითხავთ? საბაზრო ფასებთან შედარებით 20-30 პროცენტით იაფად ყიდიან, ამიტომ არის, რომ „ცისარტყელა-50“-ის კოოპერატორები საკმაო პოპულარობით სარგებლობენ. ქების ღირსია მათი ქველმოქმედებაც. ვაკიჯვრის ბავშვთა ბაგას ყოველდღიურად რძეს უფასოდ აძლევენ, ხოლო საშუალო სკოლის მოსწავლეებს ნახევარ ლიტრიან ქილა მაწონს — მანეთად და 20 კაპიკად.

წარმატებები უფრო თვალსაჩინოც ექნებოდათ, მაგრამ შარშანდელი ზაფხულის წყალდიდობამ დიდად დააზარალა ვაკიჯვრელი კოოპერატორები. წყალმა წაიღო სარეალიზაციო-სასაქონლო — 9 ტონა თევზი, 5 ტონამდე დედათევზი, 200 ათასი ლიფსიტა, დაანგრია 7, დატბორა 11 აუზი.

„ცისარტყელა-50“-ის კოლექტივს სახელშეკრულებო ურთიერთობა აქვს გრიგოლეთის (ლანჩხუთის რაიონი) მეთევზეობის კოოპერატივთან, სადაც გრუნტის წყლებზე მიმდინარეობს კალმახის ლიფსიტების გამომჩეკი ინკუბატორის ერთობლივი მშენებლობა. ეს ინკუბატორი 10 მილიონ ლიფსიტაზეა გაანგარიშებული, რაც მთლიანად დააკმაყოფილებს ჩვენი რესპუბლიკის სათევზე მეურნეობათა მოთხოვნილებას კალმახის ლიფსიტებზე. ვაკიჯვრელ მეთევზეებს სახელშეკრულებო კავშირურთიერთობა აქვთ აგრეთვე მურმანსკის თევზის საწარმოებთან.

ჯერჯერობით ამ მოწინავე კოოპერატორთა მიერ წარმოებული პროდუქცია იყიდება ოზურგეთის ქალაქ-ვაჭრობის მაღაზიებში, სასურველი კია, რომ მათ საკუთარი სპეციალური მაღაზია ჰქონდეთ. კოოპერატორები არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით არიან განებივრებული. აუცილებლად სჭირდებათ ავტომანქანა „კამაზი“, „გაზ-55“, ტრაქტორი „ტ-16“. დაგვიანებული თუ არა, დროული მაინც არის, რომ სათანადო ორგანოებმა გამოუყონ სულ მცირე 10 ჰექტარი მიწის სავარგული მეცხოველეობისათვის საკვების მოსაპოვებლად. იმის უთქმელობაც არ იქნება, რომ ვაკიჯვრელებს საკმაოდ ეხმარებიან ტრესტ „საქწყალმშენის“ (მმართველი შალვა გიორგაძე) მშენებლები. მათ, დაპირებისამებრ, მოკლე დროში უნდა აღადგინონ მეურნეობასთან ერთადერთი მისასვლელი ხიდი.

ყველა გულდაგულ შრომობს ამ კოლექტივში ჩვენი საქართველოს აგრარიგი გაჭირვების ჟამს, კოოპერატორები ენერგიას არ ზოგავენ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ მოსახლეობის საკვები პროდუქტებით მომარაგების საქმეში. რაც მთავარია, ეს კოოპერატივი სხვებს კი არა ჰგავს — ჯერ რომ ყიდულობენ და მერე მამასისხლად ყიდიან, აქ თვითონ ქმნიან პროდუქციას!

ეს კი სამაგალითო და მისაბაძია.

ქართული ფუტკარი და მისი ყვავილეთი

მიხეილ მიქაძე

ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებს რომ აღწერენ ხოლმე, ჩამოთვლიან და აღნუსხავენ ყველაფერს, რაც ადამიანისთვის სასარგებლო და გამოსადეგია მის ცისქვეშეთში — მთასა და ბარს, ტყეებსა და ველებს, სახნავ-სათესსა და საძოვარს, ზღვებს, ტბებსა და მდინარეებს, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, წიაღისეულს... მაგრამ არის კიდევ ერთი სიმდიდრე, რომელიც არც ერთ ამდაგვარ ნუსხაში შეტანილი არ არის, ცალკე არ აღირიცხება.

ეს ყვავილთა სამყაროა.

ყვავილები მარტო თვალსა და გულს კი არახარებენ და თავის ხანმოკლე არსებობის მანძილზე ნაყოფს კი არ გამოჩეკავენ ხოლმე თავის უბეში, არამედ თავისთავადაც სასარგებლონი არიან: ყვავილი ერთადერთი საზრდოა ფუტკრისა. ფუტკარი კი, ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა ძვირფასი პროდუქტის ძომცემი მწერია (სიტყვას მოჰყვა, თორემ არც კი მინდა ფუტკარი მწერთა შორის მოვიხსენიო).

საქართველოს ეს სიმდიდრეც უხვად მოჰმადლა ღმერთმა. ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ყვავიან ჩვენი ტყეები და ველ-მინდვრები და მთელ ამ ყვავილეთს ლოცვითა და ზუზუნით თავს ევლება ფუტკარი.

ოღონდ სამწუხარო ის არის, რომ სრულად ვერ ვიყენებთ ამ სიმდიდრეს. სპეციალისტები გვიმტკიცებენ, ამჟამად საქართველოში 200 ათასზე მეტი ფუტკრის ოჯახიაო. მაგრამ არავის უანგარიშია და არავინ იცის, კიდევ რამდენ ათასს გამოკვებავდა ჩვენი თაფლოვანი მცენარეები, ჩვენი ყვავილეთი.

ამ ხარვეზის შევსებას ემსახურება სამტრედიის ქართული ფუტკრის მოშენების სახელმწიფო საჯიშე მეურნეობა: მისი ძირითადი დანიშნულებაა სწორედ ფუტკრის მოშენება-გამრავლებაა — ადრეული ამანათნაყრების, ფუტკრის ახალი ოჯახების გამოყვანა და გაყიდვა. იყიდება იგი როგორც სახელმწიფო დაწესებულებებზე, ისევე კერძო მოსახლეობაზე.

მეურნეობა ამ ოცდაათი წლის წინათ შეიქმნა. მაშინ მის მფლობელობაში იყო 400-მდე ფუტკრის ოჯახი და 120 ჰექტარი სახნავ-სათესი. პირველ ხანებში მეურნეობა დანახარჯებსაც კი ვერ ფარავდა, წამგებიანი იყო. მერე, როდესაც საფუტკრესთან დამხმარე მეურნეობა შეიქმნა და სკებისა და ფუტკრის სხვა ინვენტარის დამზადება დაიწყეს, მეურნეობა ცოტა გამართა წელში. ამასობაში, 1976 წლიდან, ამანათნაყრების გამოყვანა და გაყიდვაც, მეურნეობის ძირითადი პროფილით ამოქმედებაც, შესაძლებელი გახდა და ამ დროიდან მოკიდებული, უკვე მოგებაზე არიან.

ამ ხნის განმავლობაში 23 ათასზე მეტი ფუტკრის ოჯახი გამოიყვანეს სამტრედიის სახელმწიფო საჯიშე მეურნეობაში. ამჟამად მას 2600 ფუტკრის ძირითადი ოჯახი და 600-ზე მეტი სათადარიგო დედა ჰყავს. აქედან 1900 ძირითადი ოჯახი თვით სამტრედიის რაიონის ტერიტორიაზეა, დანარჩენი განლაგებულია ფილიალებში — ვანის, ბაღდადის და მარტვილის რაიონებში. მარტო შარშან 3 ათასამდე ამანათნაყარი, ფუტკრის ახალი ოჯახი გამოიყვანეს. გარდა ამისა 10 ტონამდე თაფლის მოსავალი მიიღეს. დაგეგმილზე მეტი დაამზადეს აგრეთვე სანთელი, დინდგელი, მეფუტკრეობისთვის საჭირო მასალა-ინვენტარი, რამაც ნავარაუდევზე 3-ჯერ მეტი მოგება მისცა.

ქართული ფუტკრის საჯიშე მეურნეობაზე რომ ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა, ქართული ფუტკრის ის ღირსება უნდა მოვიხსენიოთ, რომლითაც ასე განთქმულია მთელ მსოფლიოში და რაც კიდევ უფრო ზრდის ამგვარი საჯიშე მეურნეობის მიზანსა და დანიშნულებას.

შესანიშნავი რუხი ფუტკრის ეს თვისებები დღეს ყველამ იცის, ვინც კი მეფუტკრეობით არის დაინტერესებული, და ამ დარგის ყველა ცნობარსა და სახელმძღვანელოში შეგიძლიათ ამოიკითხოთ, მაგრამ მაინც საჭიროთ ჩავთვალეთ ამ წერილშიც ერთხელ კიდევ შევახსენოთ იგი მკითხველს.

ქართულ რუხ ფუტკარს მსოფლიოს სხვა ჯიშებთან შედარებით ყველაზე გრძელი ხორთუმი აქვს. ამის მეოხებით ნექტარს იღებს სხვა ფუტკრებისთვის მიუწვდომელი ყვავილებიდანაც კი; ძალზე მშვიდი და თვინიერია, მასთან თავისუფლად შეიძლება უპირბადოდ მუშაობა. სწორუპოვარია მუყაითობითაც (მუშაობას იწყებს დილით ადრე, გათენებისთანავე და ამთავრებს დაბინდებისას); გამოირჩევა ძალზე შორს ფრენითაც, მისი ფრენის რადიუსი 5-6 კილომეტრს აღემატება (სხვა ჯიშებისა 3-4 კილომეტრია); უშიშრად მუშაობს მცირე წვიმის, ღრუბლიანობისა და სუსტი ქარის დროსაც, კარგად აქვს განვითარებული თავდასხმისა და თავდაცვის უნარიც, რაც მისი ცხოველმოქმედების მაჩვენებელია; თავისუფლად იტანს 4-6 თვის ზამთარს სკიდან გამოუფრენლად, დაუთბუნებლად; გამძლეა ავადმყოფობისადმი; ზედმიწევნით იცავს ბუდის სისუფთავეს; გამოზამთრებისას სხვა ჯიშის ფუტკართან შედარებით ნაკლებ თაფლს ხარჯავს; კარგ ამინდში ღამეს ათევს ყვავილზე, რაც სხვა ფუტკრებს არ ახასიათებთ; ღალიანობის დროს ჯერ ბუდეს უზრუნველყოფს საკვები მარაგით — განთავისუფლებულ უჯრედებში ასხამს თაფლს და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის საკუჭნაოში, ამით ხელს უშლის დედას კვერცხის დებაში, ამას კი, ყოველმა მეფუტკრემ იცის, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ და მრავალ სხვა თვისებათა გამო ქართული ფუტკარი ადვილი მოსავლელი და უხვმოსავლიანია. ამიტომაც გაითქვა მან სახელი მთელ მსოფლიოში. არაერთ საერთაშორისო გამოფენაზე საქვეყნოდ დადასტურდა ქართული ფუტკრის ეს ღირსებები — ყველგან პირველი ადგილი და ოქროს მედლები დაიმსახურა.

სწორედ ამიტომ არის ასეთი დიდი მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე ჩვენებურ ფუტკარზე, არა მარტო ევროპასა და აზიაში, არამედ ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტზეც.

ამ გარემოებით უნდა ისარგებლონ ქართველმა მეფუტკრეებმა და ჩვენი სამშობლოსთვის ამ მძიმე დროს სოფლის მეურნეობის ეს დარგი ვალუტის შემოსავლის წყაროდ აქციონ. ეს უწინარესად ქართული ფუტკრის სახელმწიფო საჯიშე მეურნეობების ვალია, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, სამტრედიის სახელმწიფო საჯიშე მეურნეობისაც, რომელიც ქართული ფუტკრის ერთ-ერთ მსხვილ სასელექციო საწარმოდ ითვლება საქართველოში.

ამ დღეებში

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

აფეთქება,

რომელიც კიდევ ერთხელ ავლენს ზოგიერთების დაცემას და გადაგვარებას

27 აპრილს, დილის სამ საათზე, თბილისის სააქციო საზოგადოება „ინტერტრანსის“ სატვირთო ავტომანქანას ხარაგაულის რაიონის სოფელ ნადაბურის გადასახვევთან გზა გადაუღობა უნომრო გაზ-24 მარკის „ვოლგამ“, საიდანაც ოთხი შეიარაღებული პირი გადმოვიდა. მათ გააჩერეს სატვირთო მანქანა და მძღოლს ბენზინი მოსთხოვეს. მძღოლმა აუხსნა, რომ მისი მანქანა თხევად გაზზე მუშაობდა და ამასთან, მისაბმელი ავზით მოჰქონდა ხუთნახევარი ტონა თხევადი გაზი. შეიარაღებულებმა მძღოლს უბრძანეს გაზით სავსე მისაბმელი მახლობელ გვირაბში შეეგორებინა.

მძღოლმა ვ. არუთინოვმა უსიტყვოდ შეასრულა ბრძანება, გვირაბში მოხსნა მანქანას მისაბმელი და შეშინებულმა გზა განაგრძო ხაშურისაკენ.

ვ. არუთინოვი, შემოწმების მიზნით, სოფელ ხევთან შეაჩერეს ავტოინსპექციის თანამშრომლებმა ვ. მაღრაძემ და ე. ლომიძემ. მძღოლმა მათ ყველაფერი უამბო. ავტოინსპექტორებმა ყოველივე შეატყობინეს ხარაგაულის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას, თვითონ კი გვირაბისაკენ გაემართნენ, საიდანაც უკვე შავი ბოლი გამოდიოდა.

წინ წასვლას აზრი აღარ ჰქონდა, ისინი უკან დაბრუნდნენ და ტრასა გადაკეტეს. შემდეგ ისევ გვირაბისაკენ გაეშურნენ, საიდანაც შემოესმათ ძლიერი აფეთქების ხმა. რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილას სახანძრო რაზმით მოვიდნენ ხარაგაულის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი თამაზ გოგოლაძე და უბნის ინსპექტორი დავით ფოფხაძე, მათ მალე ზესტაფონის გვარდიის წევრებიც შეუერთდნენ.

ძლიერმა აფეთქებამ გვირაბში ორად გახლიჩა მისაბმელი და გარეთ გამოისროლა, რამდენიმე ათეულ მეტრზე დაზიანა გვირაბი, ჩამოყარა ელექტრო-გაყვანილობა, ბათქაში, აყარა ბეტონის საფარი.

თავდადებული შრომით, შუადღისას, გვირაბი გაიწმინდა და მოძრაობა აღდგა.

შემთხვევას იძიებენ სათანადო ორგანოები.

ჰენრი შარიქაძე.

გიწვევთ თანამშრომლობისათვის

ამ დღეებში რეგისტრირებულია ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია — საქართველოს რადიკალურ-მონარქისტული კავშირი (სრმკ), რომლის მიზანია: საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამყარება და მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიციების აღდგენა.

კავშირის შტაბბინა ქალაქ ოზურგეთშია (კოსტავას ქ. № 1).

ქართული მონარქიზმის იდეით დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი აქვთ, შეუძლიათ მოგვაკითხონ.

გიორგი გეგეჭკორი,
საქართველოს რადიკალურ-მონარქისტული კავშირის თავმჯდომარე.

● განგაშის ზარი

ტყე იჩეხება მცხეთაში!

ქალაქ-მუზეუმ მცხეთის კოსმონავტების ქუჩის მცხოვრებნი განცვიფრებული დარჩნენ, როცა ერთ დღეს, მოსაზღვრე ტყეში, კარგა მოზრდილ ფართობზე გაჩეხილი ნახეს რცხილა, იფანი, ჯაგრცხილა, შვინდი.. ეტყობა, გაჩეხილი ნაკვეთი მისატაცებლად და უკანონო მშენებლობისთვის უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. ამ ტყეში ასეთი მზაკვრობა ადრეც მომხდარა. ცოტა ზემოთ, ვიღაცას ტყეც გაუჩეხია, სახლის ბალავერიც გაუმართავს, სამშენებლო ბლოკებიც და სინჯარებიც მოუზიდავს, მაგრამ „გამოუჭერიათ“ და მშენებლობაც შეჩერებულა...

მცხეთა ხომ ჩვენი ისტორიაა. მის ყოველ გოჯ მიწას, ხეს, ბუჩქს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ.

დავით იმერლიშვილი.

გავუწოდოთ დახმარების ხელი

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდმა მოაწყო ტრადიციად ქცეული „გულმოწყალების კვირეული“, რომლის დროსაც დაეხმარნენ ჩვენს უკიდურესად გაჭირვებულ თანამემამულეებს — პირველ რიგში კი მარტოხელა ღრმად მოხუცებულებს.

მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდს „გულმოწყალების კვირეულის“ მოწყობაში და სააღდგომო საჩუქრების შეძენაში დიდი თანადგომა და დახმარება აღმოუჩინეს ვაჭრობის სამინისტროს საცალო ვაჭრობის სამმართველომ და თბილისის საცალო ვაჭრობის სამმართველომ, ცეკავშირის რესპუბლიკურმა სავაჭრო-შემსყიდველმა საწარმოო გაერთიანება-ბაზამ, საწარმოო გაერთიანება „თბილპურმა“, თბილისის მაკარონის ფაბრიკამ. საწარმოო გაერთიანება „თეთრონმა“ უსასყიდლოდ გადასცა სარეცხი საშუალებები, მოქალაქე ვალიდა კვირკველიამ კი ერთი თვის პენსია — 240 მანეთის ოდენობით გადარიცხა.

კვირეულის მოწყობაში აქტიურად მონაწილეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციზრუნველყოფის სამინისტრო.

კრწანისის რაიონის სოციზრუნველყოფის განყოფილებასთან ერთად უკვე მოეწყო რაიონში მცხოვრები პენსიონერების ნამუშევრების გამოფენა. მოწვეულ პენსიონერებს ფონდის მუშაკებმა გადასცეს სააღდგომო საჩუქრები.

გულმოწყალების კვირეულს დიდი სამსახური გაუწია გაზეთებმა „საქართველოს რესპუბლიკამ“, „სვობოდნაია გრუზიამ“, საქინფორმმა და რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის დეპარტამენტმა.

ამ ჰუმანური აქციის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფონდთან არსებულმა საწარმოებმა — საწარმოო სამეცნიერო გაერთიანება „ცენტრმა“, მრავალდარგოვანმა საწარმოო სამეცნიერო გაერთიანება „მეგამ“, ფირმა „მამულმა“, მრავალდარგოვანმა საწარმომ „ბაჟიომ“ და ხალხური მედიცინის ასოციაციამ.

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი კიდევ ერთხელ მოგმართავთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს მხარში ამოუდგეთ იმ ადამიანებს, ვინც საჭიროებს დახმარებასა და შეწევნას.

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი.

რონანი

● ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთელთა ჩემპიონატის მორიგი — 29-ე ტურის მატჩებში მასპინძლებმა ვერ შეძლეს თავიანთი აშკარა უპირატესობის დამტკიცება. ერთნაირი ანგარიშით — 2:0 თბილისის „მრეტებმა“ სძლია ხობის „კოლხეთს“, გორის „დილამ“ — „სამტრედიას“, სოხუმის „ცხუმმა“ კი „ბათუმს“. გალის „მზიურმა“ მინიმალური ანგარიშით — 2:1 დაამარცხა თბილისის „შევარდენი — 1906“, რუსთავის „გორდამ“ — თავისი ერთ-ერთი მეტოქე საპრიზო ადგილისათვის ბრძოლაში — ლანჩხუთის „გურია“ — 1:0.

სტუმრად გატანილმა ერთადერთმა ბურთმა მოუტანა გამარჯვება თბილისის „იბერიას“ გურჯაანის „ალაზანთან“ შეხვედრაში, ვანის „სულორს“ კი ოზურგეთის „მერცხალთან“ მატჩში, ასეთივე ანგარიშით მოუგო ოჩამჩირის „ამირანმა“ წყალტუბოს „სამგურალს“. მეტოქეებმა ვერც ერთი ბურთი ვერ გაიტანეს ზესტაფონის „მარგვეთის“ და „ქუთაისის“ აგრეთვე ზუგდიდის „ოდიშისა“ და ფოთის „კოლხეთი-1913“ გუნდების შეხვედრებში.

ჩემპიონატს დიდი უპირატესობით ქვლავ „იბერია“ ლიდერობს, რომელმაც 25 მატჩის შემდეგ 62 ქულა მოაგროვა. 26 შეხვედრიდან 51 ქულით მეორე ადგილზეა „გორდა“. მწვავე ბრძოლაა საპრიზო სამეულის ერთ-ერთი ადგილისათვის „ცხუმსა“ და „გურიას“ შორის, რომლებმაც შესაბამისად მოაგროვეს 48 ქულა (24 შეხვედრაში) და 47 ქულა (25 მატჩში).

სატურნირო ცხრილის უკანასკნელ, მეოცე ადგილზეა „მერცხალი“ — 17 ქულა 28 შეხვედრაში. 24-24 ქულა მოაგროვეს „ამირანმა“ (24 შეხვედრაში) და „ალაზანმა“ (26).

მორიგი ტური 3 მაისს იქნება, 29 აპრილს კი საქართველოს თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩები გაიმართება.

მთავარი რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი.

რეკლამა ● განცხადება

მანდილოსანთა საყურადღებოდ!

სამედიცინო კოოპერატივი „დასტაქარი“ გთავაზობთ ორსულობის დადგენას საწყის ეტაპზე.

მხოლოდ ჩვენთან, კოოპერატივ „დასტაქარში“, შარდის ჩაბარებიდან 4 საათში შეგიძლიათ მიიღოთ უტყუარი პასუხი. დიაგნოსტიკა ხორციელდება იმუნოფერმენტული ანალიზით, საერთაშორისო კლასის პრეპარატების გამოყენებით. მეთოდის მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიურობა საშუალებას იძლევა ფეხმძიმობა დადგინდეს იმ ეტაპზე, როცა სხვა ტესტებით მისი დადგენა შეუძლებელია.

გარდა იმისა ლაბორატორია გთავაზობთ ტოქსოპლაზმოზის, ციტომეგალოვირუსული ინფექციის, ქლამიდიოზის, გენიტალური გერპესის, წითურას და სხვათა დიაგნოსტიკას. აღნიშნულ ინფექციათა გამომწვევები, გადადიან რა დედიდან მუცლადმყოფ ნაყოფზე, ხშირად იწვევენ თავისთავად აბორტებს, უშვილობას, ან ახალშობილთა განვითარების სხვადასხვა მანკს.

ჩვენი მისამართია: ვაჟა-ფშაველას 27. რესპუბლიკური საავადმყოფოს ბალნეოლოგიური განყოფილება. კოოპერატივი „დასტაქარი“.

სამუშაო საათები: 10-დან 19 სთ-მდე, შაბათს 12 სთ-მდე, დასვენების დღე კვირა.
ტელ.: 39-57-63.

გავაზი
სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ორგანიზაციებს,

ფირმებსა და კერძო პირებს

სადაზღვევო კომპანია „გავაზი“ გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

გადახახდელის უდელაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებია, რომელთა შექმნაც მხოლოდ „გავაზს“ შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.

გახსოვდეთ!

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით. „გავაზი“ თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!

იჩქარეთ! **იჩქარეთ!**

სააქციონერო საზოგადოება
„საქართველოს უნივერსალური ბირჟა“

იჩქარეთ, თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ შანსი
შეიძინოთ საბროკერო ადგილი
ხელმისაწვდომ ფასად!

80 000 მანეთად შეგიძლიათ გახდეთ საბირჟო საქმიანობის
აქტიური თანამონაწილე.
თანხა გადმორიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:
ნომერი 700161924, კომერციული ბანკი „დრო“,
საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის საოპერაციო
სამმართველო, კოდი 522759

ცნობებისათვის მოგვმართეთ:
თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი
89/24 (მეტროპოლიტენის სადგური
„მარჯანიშვილი“).
ტელეფონი 95-30-24, 95-37-41.
მიღება ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა,
10-დან 17 საათამდე.

სარეკლამო
ფირმა
„რენომე“

იჩქარეთ!

გიწვევთ სასწავლებლად

თბილისის იურიდიული კოლეჯი აცხადებს მიღებას მოკლევადიან, ინტენსიურ მეთოდებზე დამყარებულ, იურიდიულ ფაკულტეტებზე შემსვლელთა იაფფასიან მოსამზადებელ კურსებზე.
მოგვმართეთ: თბილისი, ვაჩნაძის 9 (კოლმეურნეობის მოედანი),
ტელ.: 93-58-06; 93-58-02.

ფირმა „ნაციონალი“ გპირდებათ საინტერესო მოგზაურობას

აშშ-ში მარშრუტით: ნიუ-იორკი, ვაშინგტონი, ფილადელფია, ატლანტიკ-სიტი (აზარტული თამაშების მოყვარულთათვის). სასტუმრო 4-ვარსკვლავიანია, კვება — 2-ჯერადი. მოგზაურობა მოსკოვიდან პრაღის გავლით ნიუ-იორკამდე.
გასვლა 29 მაისს.
საბუთების მიღება 8 მაისამდე.
ფასი 1800 დოლარი, 11440 მანეთი.
მისამართი: ბარნოვის ქ. 120, ტელ.: 22-85-25.

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-76-24. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, ხაზინაშვილის ქ. № 20. ინდექსი 64496.